საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 მარტი, 2013 წელი.

№50 (7177)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ყოველი დღე ახალ საფიქრალს გვიჩენს

რაც უფრო მეტი დრო გადის არჩევნების შემდეგ, მით უფრო მძაფრად კამათობენ ქართველები – „ბჭობის სენი“ მართლაც თითქმის ყველას მოედო... 3

თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, ნარკომანიასა და ნარკოტიზმს ვერ აღმოვფხვრით 9

ერთ ლარად ნაჩუქარი 200-მილიონიანი ქონება, 6

ანუ ამბავი ბენდუქიძის დიდი მუცლისა და პატარა ყურებისა...

მოგვაშორეთ ბენდუქიძე,

მან ჯერ ეკონომიკა დაანგრია, ახლა კი განათლებისა და მეცნიერების სისტემას უპირებს განადგურებას 2

ევროპული ქარტიის რატიფიცირება სეპარატიზმის წახალისებაა 4

აკადემია ხვალ: 5

80:34

დინება „უკუდინების“ გარეშე 5

კათარზისი – მოწყალების სახლი 7

„ბორჯღალოსანთა“ მეეძვსე ევროპული აღზევება 10

რას გვეუბნება გენეტიკა ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების წარმოშავლობაზე 8

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბიძინა ივანიშვილი კომპანია „ფრონტერა საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

საერთაშორისო ნავთობისა და გაზის კომპანია საქართველოში ინვესტიციების გაზრდას გეგმავს , — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურიდან აცნობეს. მათივე ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო ნავთობისა და გაზის კომპანია „ფრონტერა საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორს სტივენ ნიკანდროსს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა უკვე არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

„ფრონტერამ“ საქართველოში საქმიანობა 1997 წლიდან დაიწყო. მისი სათავო ოფისი ამერიკაში მდებარეობს.

ირაკლი ალასანია აზერბაიჯანში

საძართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ირაკლი ალასანიამ უკვე გამართა შეხვედრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ილჰამ ჰეიდარ ოღლი ალიევთან და აზერბაიჯანელ კოლეგასთან, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევთან.

როგორც ალასანიამ აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოს დღევანდელი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მეზობელ ქვეყნებთან გაღრმავებული თანამშრომლობაა, რაც რეგიონში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში შეხვედრა დელეგაციებს შორის გაფართოებულ ფორმატში შედგა, რის შემდეგაც, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებმა პირისპირ შეხვედრა გამართეს. კოლეგებმა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების გამყარების საკითხზე იმსჯელეს. მინისტრებმა აზერბაიჯანსა და საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობასაც გაუსვეს ხაზი.

მხარეებმა შეხვედრაზე ავღანეთის საერთაშორისო მისიაში ქართული და აზერბაიჯანული კონტინგენტების მონაწილეობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა 2013 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა დაამტკიცეს.

დღესვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრებმა აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალირზა ოღლი ალიევის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

მთავრობა ვერ იქნება პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორებმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონსტიტუციონალისტების რამდენიმე შენიშვნაც გაითვალისწინეს.

— ეს შენიშვნები აისახა იმ სახით, რომ ზუსტად ჩაიწერა, თუ რა ხდება პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენების შემთხვევაში, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა თავად გადადგა. ეს პროცედურა ნიშნავს — ასეთ შემთხვევაში მთავრობის მოვალეობის შესრულება ეკისრება გადამდგარ თუ გადაყენებულ მთავრობას და შემდგომ თუ მოხდა პარლამენტის დათხოვნა, ახალი მთავრობის ფორმირება მოხდება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, ანუ ვერც ერთ შემთხვევაში მთავრობა ვერ იქნება პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული, თუ ამაზე არ იქნა პარლამენტის თანხმობა. ასევე, უარი ვთქვით იმ ნორმის გაუქმებაზე, რომლის თანახმადაც პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა, პარლამენტის არჩევიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში და თავის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში დაეთხოვა პარლამენტი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთხმად თქვეს, რომ ამ ნორმის ამოღებამ შესაძლოა, გამოიწვიოს მძიმე პოლიტიკური კრიზისი და მათი შენიშვნები ინიციატორებმა გაითვალისწინეს, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ განგაში

დროა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ ხმა ამოიღოს ვაზისა და ღვინის სამშობლოში ასოცწლოვანი მებაღეობა-მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაუქმების, მეცნიერ-თანამშრომელთა უსამართლო განთავისუფლების, ამ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ქონება-ფასეულობების ყოველგვარი მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე გატანის, უკანასკნელი წლების განმავლობაში მთავრობის მიერ მიღებული არაერთი დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების გამო, რომელიც აგრარულ სფეროში დასაქმებული თოთხმეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეალურად საბოლოოდ გაუქმებისა და კვლევითი საქმიანობის შეჩერების საფუძველი გახდა. ამის შესახებ არაერთგზის დეტალურად ვიტყობინებოდით ტელევიზიებითა და პრესის საშუალებებით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ინსტიტუტის მაგალითით ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ ყოფილი მთავრობის მიერ განხორციელებულ „რეფორმებს“ ქონებრივი ინტერესი უფრო ჰქონდათ, ვიდრე სამეცნიერო სისტემების მართვისა და ფორმირების ან სამეცნიერო ინტერესების გაუმჯობესებისა.

ჩვენ დანარჩენ კვლევითს ინსტიტუტებთან ერთად გამოვხატავთ შეშფოთებას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის და მასთან „მიერთებული“ ტრადიციული დარგების კვლევითი ინსტიტუტების განადგურებისა და მათი ქონების გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ვრწუნდებით, რომ საქმე გვაქვს აგრარულ-კორუფციულ ტრილერთან.

მოგვაშორეთ ბენდუქიძე, მან ჯერ ეკონომიკა დაანგრია, ახლა კი განათლებისა და მეცნიერების სისტემას უპირებს განადგურებას!

მიაქციეთ ყურადღება — 2011 წლის მარტში „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდმა“ გამოხატა სურვილი, ყოფილიყო აგრარული უნივერსიტეტის ერთპიროვნული დამფუძნებელი. ჩვენი გაოცება გამოიწვია ამ ფონდის დამფუძნებლის, ბატონ კახა ბენდუქიძის ამგვარმა გადაწყვეტილებამ, რომელიც მანამდე ამტკიცებდა, რომ **საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთ, თუ გადარჩენა უწერია, თავისით გადარჩეს, თუ არა და, დაიღუპოს, არაა პრობლემა.... სოფელში მცხოვრები მამაკაცები წავიდნენ შავ მუშებად, ქალები — მეძავებად, არაა ეს ჩემი პრობლემა. მეჩაიობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერა. ჩვენ 700 გლეხური მეურნეობა გვაქვს. ყველას სესხი მივცეთ? რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები თავის ტკივილი იქნება.**

აი, ვისთან გვაქვს საქმე. იგი ხელმძღვანელი თუ არა, აქტიური მონაწილე მაინცაა ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაულის ჩამდენი დანაშაულებრივი მცირე ჯგუფისა, ვინც ქვეყანაში აგრარული დარგის მოსპობა განიზრახა, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გაყიდვისა და ქვეყანაში შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მონოპოლიის მოპოვების გამო.

ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია შემდეგი: **2011 წლის აპრილში სახელმწიფო ქმნის შპს „აგრომეტს“, რომლის კაპიტალი თავიდან 400 ლარი იყო. საბოლოოდ ის აღმოჩნდა უზარმაზარი ქონების პატრონი. მას გადაეცა შენობა-ნაგებობანი და ათასობით ჰექტარი მიწა, ლაბორატორიებით, სანერგეებით, სათბურებით,კოლექციებით, მარნებითა და მსხმოიარე საკოლექციო ბაღებით და ვენახებით.** პრივატიზაციის მაშინდელი დეპარტამენტის მიერ „აგრომეტის“ პრივატიზაციის ფასი გათვლილი იყო დაუჯერებელ მცირე ოდენობით, სულ რაღაც 100 მლნ ლარად (აღბათ, თითოეული კვლევითი ინსტიტუტის ღირებულება 100 მლნ ლარს საგრძნობლად აღემატებოდა).

2011 წლის დეკემბერში აგრარული უნივერსიტეტის ცოდნის ფონდმა, რომლის დამფუძნებელიც და ამ, ქვეყნისათვის საბედისწერო, ქმედებების ავტორი ფაქტობრივად თვითონ ბატონი კახა ბენდუქიძეა, მიმართა იმდროინდელ ეკონომიკის სამინისტროს — მისთვის პირდაპირი წესით 5 მილიონ ლარად მიეყიდა შპს „აგრომეტის“ 100%-იანი წილი.

2012 წლის 15 თებერვალს პრეზიდენტის განკარგულებით „აგრომეტის“ ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით 4 150 000 ლარად გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს. მყიდველმა დადგენილ ვადაში საპრივატიზაციო თანხა ვერ (თუ არ???) გადაიხადა,პრეზიდენტმა კი მორიგი მოწყალება გაიღო და 2012 წლის 24 ოქტომბრის განკარგულებით (არჩევნების შემდეგ!), მყიდველს 24 თვით გაუგრძელა აღებული ვალდებულების შესრულება. რატომ? რა დამსახურებებისათვის? ამ დროისათვის მას ბევრი რამ გასხვისებული ჰქონდა.

> **აი, ასეთი გზით მოახერხა ამ მატყუარა, ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაულის ჩამდენმა თანამედროვე „შაჰბასმა“ ჩვენი ქვეყნის აგრარული უნივერსიტეტისა და თოთხმეტი ტრადიციული კვლევითი ინსტიტუტის ხელში ჩაგდება, საშინელი ზრახვების განხორციელების მიზნით. აქ არაფერს ვამბობ სხვა სფეროებში ჩადენილ დანაშაულებზე, ამის შესახებ, ალბათ, სხვებიც იტყვიან. სამართლიანად შეარქვა მას ქართველმა ხალხმა — იუდა.**

ჩვენ იმედით შევყურებთ ახალ მთავრობას, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, დაუყოვნებლივ, კოპლექსურად მიეხედოს აგრარულ ქვეყანაში — აგრარულ საკითხებს. ჩვენ მოვითხოვთ: **დაუყონებლივ აღდგეს აგრარული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად, ასევე აღდგეს ის კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც გააუქმეს მათი შენობებისა და ტერიტორიების გაყიდვის მიზნით. აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებიც და კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი კონცეფციის თანახმად გააგრძელებენ თავის საქმიანობას.** შედეგიც არ დააყოვნებს, უმოკლეს ვადაში შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დიდი რაოდენობის ექსპორტი. მაშინ, როცა ყოფილი მთავრობის პოლიტიკის შედეგად გასულ წლებში ჩვენი მოსახლების მიერ მოხმარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტთა 80 % მეტი იმპორტით შემოდიოდა, ისიც გაურკვეველი წარმომავლობის.

მოტყუებულ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს უნდა განემარტოთ, რომ მოსაჩვენებლად, ბიუჯეტის თანხებით და არა ბატონ კახა ბენდუქიძის ინვესტიციებით გარემონტებული აუდიტორიებით, 14 კვლევითი ინსტიტუტიდან გატანილი ლაბორატორიული აპარატურითა და მოწყობილობით შექმნილი ლაბორატორიებით ნუ მოტყუვდებიან. ადრე იგი გაიძახოდა, ამ უნივერსიტეტის შეძენაში 80 მილიონი მაქვს გადახდილიო. არადა, უკვე ცნობილია, რომ მას დანაშაულებრივი ქმედებისთვის აგრარული უნივერსიტეტი და მასთან განათლების ყოფილი მინისტრის ბრძანებით მიერთებული 14 ტრადიციული კვლევითი ინსტიტუტი 5 მილიონ ლარად გადაეცა, რომელიც მას დღეს აც არ გადაუხდია. დასანანია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“, განსაკუთრებით მისი პროგრამა „P.S.“ უსირცხვილოდ განაგრძობს ბენდუქიძის ქებას აგრარული უნივერსიტეტის აღორძინებისთვის მაშინ, როცა სხვა ტელევიზიები დეტალურად ასახავენ იმ დარღვევებს, რაც ამ უნივერსიტეტის გარშემო ხდება.

ამ დღეებში დიდი აჟიოტაჟი ატყდა აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის გამო. ამ ინსტიტუტის მეპატრონემ, ბატონმა კახა ბენდუქიძემ მთელი ინსტიტუტის სტუდენტობა დარაზმა ავტორიზაციის საბჭოს წინააღმდეგ. იმის მაგივრად, რომ აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ავტორიზაციის საბჭოს შენიშვნებზე დროული რეაგირება მოეხდინა, მან სტუდენტებს აღნიშნული საბჭო და მთლიანად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმოუსახა არა როგორც რეკომენდაციის მიმცემი, არამედ როგორც სადამსჯელო ორგანიზაცია, დააშინა ისინი, რომ კურსდამთავრებულებს დიპლომებს ვერ მისცემდნენ, ხოლო პირველკურსელებს გარიცხავდნენ.

შეშინებული სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა თავის გადასარჩენად, აქციები გამართა. ჩვენი აზრით, ეს ბენდუქიძის და მისნაირთა მცდელობაა 19 აპრილისათვის განაწყენებული ხალხის შესაგროვებლად.

ძნელი არ უნდა იყოს ამ მოტყუებული სტუდენტობის დარწმუნება, რომ სტუდენტებს არავინ არ ერჩის, პირიქით, პროფესიული სწავლება, ბენდუქიძისა და მისი შექმნილი ჯგუფის ხუშტურებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. როგორც ეტყობა, მათ ეკონომიკის დანგრევის შემდეგ განათლების სისტემაში გადაინაცვლეს იმავე მიზნით.

დიდია ინტერესი, თუ რატომ გაუჩდა პრობლემები აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაციასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ეს ინტერესი კიდევ უფრო ძლიერია ისეთ ქვეყანაში, სადაც დიდია პოლარიზება, განსაკუთრებით ევროკავშირთან ისეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გაფორემების წინა დღეს, რომელიც აგრარული სექტორისათვის 40 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს.

მივმართავთ მთავრობას, პარლამენტს — აქტიურად დაგვიდგნენ გვერდში!

ჩამოვაშოროთ ბენდუქიძე და მისი გუნდი განათლებისა და მეცნიერების სფეროს, ხომ ვნახეთ, როგორ დაანგრიეს მათ ეკონომიკა, როგორ გაყიდეს ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეები, სახნავ-სათესები, ტყეები და შენობა-ნაგებობები. იმედია, ფინანსთა სამინისტროს და სამართალდამცველთა აქტიური ქმედებანი ნათელს მოფენს მათ დანაშაულებრივ ქმედებებს.

მურმან ძურიძე,
მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის აკადემიის ნამდვილი წევრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვინ არიან ცივსისხლიანები?

ყოველი დღე ახალ საფიქრალს გვიჩენს

რაც უფრო მეტი დრო გადის არჩევნების უკუდგეგ, მით უფრო მძაფრად კამათობენ ქართველები. „ბჭობის სენი" მართლაც თითქმის ყველას მოედო...

I

ჯერ კიდევ 2010 წლის დეკემბერში და 2011 წლის სექტემბერში ნაციონალურ მოძრაობაზე ვწერდი: **„ვარდების რევოლუციას სათავეში მცირერიცხოვანი, ახალგაზრდა თაობის გუნდი ედგა. როგორც ნებისმიერი რევოლუციური გადატრიალების მოთავეს, მასაც რამდენიმე ტიპური თვისება ახასიათებდა: სიჯიუტემდე დასული უკომპრომისობა; მოუთმენლობა, ანუ სულსწრაფობა; გადამეტებული, ანუ გაზვიადებული თავდაჯერებულობა. რევოლუციური ჟინით ნაკარნახევმა მაქსიმალიზმმა ამ გუნდში უფროსი თაობის მიმართ ირაციონალური უნდობლობა გამოავლინა...".** ეს რამდენადმე ზედაპირული და ნაჩქარევი მოსაზრება მაიძულებს, სხვაგვარად გადავხედო წარსულს.

ცნება „ინტელიგენტი" რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნის 50-60 წლებში გაჩნდა და ევროპელი ინტელექტუალებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ვინაიდან ინტელიგენტ ადამიანში განათლებისა და ინტელექტის არსებობის გარდა, უპირველესად სამშობლოს და ერის განცდის, საკუთარი ღირსებისა და ზნეობის შინაგანი „კოდექსის" არსებობას გულისხმებოდა.

მოზარდობის სინდრომი სამშობლოს და საკუთარი ერის განცდის დაკნინებულობით (ან სულაც მისი არარსებობით) აღინიშნება. ნაციონალების შემთხვევაში ეს ანამნეზი, შესაძლოა, ასეთი ხატოვანი ხერხით აღიწეროს: „მოზარდობის სინდრომით" შეპყრობილი ნაციონალური მოძრაობა აღიქვამდა ქვეყანას და ერს როგორც საკუთარი ეზოს ატრიბუტიკას, სადაც ისინი იქცეოდნენ ისე, როგორც სურდათ. დასავლეთი მათთვის რაღაც კოლეჯის მაგვარი („ეზოსგან მოშორებული") რამ იყო, სადაც სულ სხვაგვარი ქცევა მმართებდათ. ამ „კოლეჯის მასწავლებლები" მათთვის პედაგოგაღმზრდელები იყვნენ. ამიტომაც საქართველოში (საკუთარ „თავისუფალ ეზოში") ექსპერტების ინსტიტუტის ტოტალურ უარყოფას – კომპეტენტური ექსპერტების გათიშვას მოვესწარით.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ექსპერტები არიან ის ინტელიგენცია, რომელსაც განათლების და ინტელექტის გარდა, უპირველესად სამშობლოს და ერის განცდა ახასიათებთ, ღირსების და ზნეობის შინაგანი კოდექსიც გააჩნიათ. სიტუაცია თითქმის ტრაგიკული იყო, ვინაიდან მოზარდის სინდრომი აგრეთვე არ გულისხმობს სრულყოფილი ფასეულობების ნუსხას, პრიორიტეტების გააზრებას და მათდამი პასუხისმგებლობას.

„ისტორია გვასწავლის, რომ ნებისმიერი ხელისუფლების მისწრაფება აპარატის გულგრილობასთან, უინიციატივობასთან და დაბალ კვალიფიკაციასთან მუდამ შინაგან დაპირისპირებაშია. საქართველოში ამ კანონზომიერი სენის საწინააღმდეგო წამალი არ ან ვერ გამოინახა. ამიტომ ნებისმიერ სფეროში უვარგისი პროფესიონალიზმის, გაუბედაობის ან გულგრილობის მიზეზით ჩვენ დღესაც ქრონიკულ საკადრო პრობლემასთან გვაქვს საქმე...". ძნელად ვიჯერებ, რომ ეს თითქმის ორი წლის წიათ გავიფიქრე და რომ დღესაც ეს სიტუაცია თბილისის ინტელიგენციის თავის ტკივილის მიზეზია.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დავრწმუნდი, რომ „ოცნება" იგივე შეცდომებს უშვებდა, რომლებზეც (ნაციონალების მიმართ) პრესაში ადრე მქონდა საუბარი: **„ნდობა-უნდობლობაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკა გადამწყვეტი შეცდომა იყო, ვინაიდან ქვეყნის მართვისას, კვალიფიკაციას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვერავითარი ახლად შეძენილი ცოდნა და პოლიტიკური გემოვნება ვერ ცვლის..."**

II

„...მოთავე გუნდის კვალდაკვალ აღმოცენდა, მოზღვავდა და მის ზურგსუკან მოიკალათა საეჭვო კვალიფიკაციის, უინიციატივო ახალგაზრდა კონფორმისტთა უზარმაზარმა რაოდენობამ – ხელისუფლების პროგრესული იდეების და კონკრეტული გეგმების აღმასრულებლებელმა აპარატმა. ეს იყო, საერთო ვითარების თანსლები, სავსებით კანონზომიერი მოვლენა.... და კიდევ: **„...მმართველი გუნდი შინაგან დაპირისპირებაშია საკუთარ სახელმწიფო აპარატთან. ამ ორ „ბანაკს" რადიკალურად განსხვავებული მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ. ასეთი დაპირისპირებისას, როგორც წესი, იგებს აპარატი, ვინაიდან მას სასიცოცხლო მნიშვნელობის თავის პირადი გადარჩენის ამოცანები უდგას წინ. მას (ხელისუფლებისგან განსხვავებით) რამდენიმე არჩევნის საშუალებაც აქვს: სხვადასხვა ხერხით თავიდან აიცილოს ინიციატივის საჭიროება და პასუხისმგებლობა – შენიღბოს საკუთარი დაბალი კვალიფიკაცია. დათხოვნის შემთხვევაში კი ოპოზიციური გზის არჩევა მისთვის სავსებით მისაღებია, როგორც ალტერნატიული(!)...".** ეს ორი ციტატაც დიდი ხნის წინათ იყო დაწერილი და „ოცნებას" სულ არ ეხებოდა.

დღეს თბილისის ინტელიგენციას მიეცა საშუალება წყნარად, გულდასმით გააანალიზოს, თუ რატომ აბობოქრდა ნაციონალებში უხამსობა, ცინიზმი, უგვანო სტილისტიკა... ამაზე ფიქრისას ბევრს **გეორგი გაჩევის „სამყაროს ნაციონალური ახირებები"** ახსენდება. უფრო ზუსტად კი ამ წიგნის ერთი თავი „საქართველოს კოსმოსოფია":

„...საქართველოს პოლიტიკური ისტორია ერთგვარად ერთფეროვანია: გაფართოვდა, შეიკუმშა; ისევ გაფართოვდა – შეიკუმშა, რაღაც მიწები დაკარგა. აქ (საქართველოში) ისტორია სხვაგვარი რამაა – ზნეობრივ, ეთნიკურ ფასეულობათა დაგროვებაშია. საქართველოს ფასეულობები ერის ზნეობრივ-შემოქმედებით ხაზინაში გროვდება... საქართველოში მიზანი ხერხს არ ამართლებს... საქართველოში ხერხი და შესაძლებლობა მიზანზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან გარე მიზანი არც კი არსებობს: ტერიტორიული კუთხით ვერ ვითარდება. რისკენ უნდა ისწრაფვოდეს? საკუთარი მიწა-წყლის გაფართოებისკენ? სიდიადისკენ? მსოფლიო პოლიტიკისკენ? მეზობლებზე ძალაუფლების მოსაპოვებლად? მას გაფართოება კი არა, თვიშენარჩუნება ესაჭიროება – გეოპოლიტიკურ სიგანეში კი არ განვითარდეს, არამედ ეგზისტენციალურ სიღრმეში... რუსი ადამიანის სული მუდამ მთავარი მოვლენის მოლოდინშია – თავისი ყველა მწვავე პრობლემის გადაწყვეტის მოლოდინშია... საქართველოში კი ჩვენ უფრო ყოფიერების დადგომის, მისი მოსვლის, დაგვირგვინების, მიზნის მიღწევის ფაზასთან გვაქვს საქმე... რუსეთში კი შორეთისკენ მუდმივი სწრაფვაა, აქედან და სადღაც... საქართველოში კი თვითსაკმარისობაა...".

გარჩევის ეს კულტუროლოგიური ძიებები სულ მარტივ მოსაზრებებს გვიკარნახებენ: ნაციონალურმა მოძრაობამ ვშიშობ, დღევანდელმაც, ვერ გაიაზრეს უმთავრესი რამ: სად არის საქართველოს ადგილი თანამედროვეობაში? არა პოლიტიკური გაგებით, არამად ცივილიზაციური კუთხით. ასეთი სტრატეგიული, საფუძვლიანი დაგეგმის ნაცვლად მათ სტრატეგიული ნგრევა-მოწესრიგებით დაიწყეს. მაგრამ პოლიტიკურ-ეკონომიურ-სოციალური ნგრევა-მოწესრიგება რაგინდ ლოგიკური და სამართლიანი არ უნდა იყოს, ქართული მენტალობის, ქართულ ფასეულობათა მოშლა-გადაგვარების მცდელობაა... თანამედროვე, XXI საუკუნის შესაფერისი ყოფა და სამართლებრივივად მოწესრიგებული სახელმწიფო საჭიროა და ამას არავინ უარყოფს. ამ შემთხვევაში სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი – გაცილებით მნიშვნელოვანზე, ურომლისოდაც ჩვენ მსოფლიოს ეთნოსების რიცხვიდან, შესაძლოა, გავქრეთ...

III

ეტყობა, ახალ ხელისუფლებას ცუდად ესმის ვისთან აქვს საქმე... „ვარდების რევოლუციამ" სოციალური ცუნამი გამოიწვია: ქვეყანაში შემოვარდა ძლიერი, მღვრიე ნაკადი, რომელსაც ყველა ჯურის ქმნილება შემოჰყვა. მათ შორის ისინიც, ვინც დღესაც გვაკვირვებენ და ვისიც სრულიად არ გვესმის სხვა ბიოლოგიურ სახეობას რომ მიეკუთვნებიან – ცივსისხლიანები. ეს არც კარგია და არც ცუდი – უბრალოდ ასეა. სამწუხაროდ, ამ ბიოლოგიურ სახეობას „ოცნებამ" ალღო ვერ აუღო და ცივსისხლიანებმა ახალ ხელისუფლებაშიც მოიკალათეს.

დემოკრატია აუცილებელია. ჩვენ სასიცოცხლოდ გვჭირდება სამართლიანობა. მაგრამ ამის მისაღწევად კარგად უნდა გავიაზროთ, თუ რითი განსხვავდება ცივსისხლიანი არსება თბილსისხლიანი ადამიანისგან?

ცივსისხლიანებს არ გააჩნიათ ემოციები, მათ მაგივრობას რეფლექსები უწევენ: შიმშილის დაკმაყოფილების რეფლექსი; თავდაცვის და იერიშის რეფლექსი; ბუდე-ბუნაგის მოწყობის რეფლექსი; შთამომავლობის შენარჩუნების რეფლექსი; საკუთარ გარემოში პირველობისთვის ბრძოლის რეფლექსი და სხვა. ამრიგად, მათთვის სრულიად უცხოა ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიც: გულშემატკივრობა; სინდისიერება; სხვისი თვალსაზრისის გათვალისწინება; საკუთარი სურვილის ან გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენება... მათთვის საერთოდ უცხოა და ვერც კი განმარტავენ, თუ რატომაა ქურდობა დასაძრახი – „მინდოდა, დამჭირდა და ავიღე"; თუ რატომაა ღალატი უსინდისობა – „რაც ჩემთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნიე – ის ჩავიდინე"; თუ რატომაა დასაძრახი ტყუილი – „რაც ჩემთვის სასარგებლო იყო, ის ვთქვი"; რა სარგებელია ერთგულებაში? – „ახლა ასე მჭირდება, ხვალ კი, შესაძლოა, სხვაგვარად მოვიქცევი...". თუ ცივსისხლიანს შენზე იერიში არ მოაქვს, ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: ამჟამად შენ მას არ აინტერესებ; თუ გილიმის, ეს მხოოდ ერთს ნიშნავს: ცბიერად გატყუებს – სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში შეინიშნებოდა ამ პოპულაციის უჩვეულო აქტიურობა – „ოცნებისკენ" გზებს ეძებდნენ. დღეს მათი რიცხვის ზრდა საგანგაშოა.

ახალი სახელისუფლებო გუნდის ლიდერთა ჯგუფი, რასაკვირველია, ბევრ სასიკეთოს გაკეთებას ცდილობს, მაგრამ თან საკუთარ, რეალურ ცხოვრებას იწყებს, ნახევრად შესრულებულ ფაზაში – ხან „წაიკოჭლებს", ხან „მძიმედ ავად ხდება", ხან კი „სადღაც გაიპარება" ან „უდროოდ გარდაიცვლება". ყველაფერ ამას მოსახლეობა აღიქვამს როგორც თავისი ინტერესების ღალატს. ეს ცივსისხლიანების მომრავლების შედეგია. სახელმწიფო ინტერესები, პატრიოტიზმი, სახელმწიფო განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები – სახელმწიფოებრივი აზროვნება ცივსისხლიანებს სულაც არ აფიქრებთ... ხელისუფლებაში ცივსისხლიანების არსებობის პირობებში სახელმწიფოს განვითარების გეგმებზე ოცნებაც არ ღირს. ცივსისხლიანებს არ სჭირდებათ თავიანთი არსებობის წინასწარ დაგეგმვა: კარგი ამინდია – მზეზე ეფიცხება; ცუდი ამინდია – ბუნაგს თავს აფარებს; შია – ნადირობს; არ შია – თვლემს; სეზონი დაუდგება – დედალ მეწყვილეს ეძებს; არ დაუდგა სეზონი – ინდეფერენტულია...

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის სასიკვდილოა დაპირებების უხარისხოდ ან თუნდაც 1/5-ით არშესრულება – ელექტორატი თავისი ბუნებით მომთმენია, მაგრამ გულღვარძლიანი და დაუნდობელი.

IV

საზოგადოებრივ პრობლემებზე მრავალ „ენაზე" შეიძლება საუბარი: მათემატიკური, ქიმიური. ფილოსოფიური, სამედიცინო... ასტრო-ფიზიკურ „ენაზეც" კი:

რამდენი ოპოზიციური მიტინგი გვინახავს და გვახსოვს? – ბევრი. რა ხდება იმ ხალხის მასაში მრავალსაათიანი „დგომისას"? მეტად საინტერესო პროცესები, რომლებიც **ინტერფერენციის** ეფექტს მოგვაგონებენ – ჩვენს შემთხვევაში ეს, ემოციური ტალღების ურთიერთზემოქმედებას წააგავს... ოპოზიციის ლიდერებზე დაკვირვებისას **ტომას ბოლტონი** გამახსენდა თავისი შავი ხვრელებით. ძლიერი გრავიტაცია დროს ანელებს, ისევე როგორც დიდი სიჩქარისას დროის სიჩქარე ნელდება... **ედვინ ჰაბლის** აღმოჩენა სამყაროს უსაზღვრობაზე, ადამიანთა სიბრიყვის უსაზღვრობას მომაგონებს.... პესიმისტურად განწყობილ ადამიანს ასეთი ანალოგია უთუოდ მიიყვანს შემდეგ ანალოგიამდე – **დოპლერის ეფექტთან შედარებამდე** (თქვენკენ მოძრავი მანქანის ხმა მაღალია, თქვენგან მოძრავი მანქანის ხმა დაბალია – სამყარო, თავისი გალაქტიკებით, შავი ხვრელებით... ფართოვდება). დოპლერის ეფექტთან შედარება პესიმისტს უბიძგებს ერთადერთი დასკვნისკენ – ადამიანთა სიბრიყვის უსაზღვრობა ფართოვდება! ასეთ სამწუხარო ასტრო-ფიზიკურ ანალოგიებზე დაყრდნობილ განწყობას **„სამყაროს ხუთი ერის"** არსებობაც აღარ შველის: ის ვარაუდი, რომ დრო მარადიულია, მოკვდავი ადამიანისთვის არავითარ ფსიქოლოგიურ „შველას" არ წარმოადგენს.

მაგრამ საკმარისია: ვის სჭირდება ეს გონებრივ-ხატოვანი ეკვილიბრისტიკა? ხელისუფლებაში გათქვეფილ ცივსისხლიანებს ეს არ ესმით – მათი უმეტესობა უცოდინარნი არიან და ამასთანავე შემოქმედებით იმპულსებს მოკლებულნი.

2010-ში ნაფიქრალი გვიბრუნდება... ე.წ. უმცირესობის ოპოზიციის ბევრი ლიდერი სახელმწიფო აპარატიდანაა განდევნილი, სწორედ აპარატში მუშაობის გამოცდილებაა ის, რაც მათ მავნე „პოლიტიკური მეთოდოლოგიის" გამოყენებისკენ უბიძგებს – ნაცვლად პროფესიულად დასაბუთებული პროგრამული იერიშებისა, კონკრეტულ პიროვნებებზე ახდენენ აქცენტირებას.

ამრიგად, შეგვიძლია მოვნიშნოთ მოვლენათა ერთგვარი ქრონოლოგია:

კოალიციის ახალი ხელისუფლების მიერ თავისთვის პირადად უცნობი(!) ინტელიგენტ-ექსპერტების თაობისთვის „უნდობლობის გამოცხადებამ", ნაციონალების მსგავსად, ხელმეორედ გაუღო კარი საეჭვო კვალიფიკაციის ახალგაზრდა უინიციატივო კონფორმისტებს – ყველა დონის სახელმწიფო მოხელეს.

არაკომპეტენტურობა მეტად საზიანო ატმოსფეროს, არაჯანსაღ, დესტრუქციულ გარემო-ატმოსფეროს ქმნის. ამის თავი და თავი ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკისადმი ზერელე დამოკიდებულებაა...

ცივსისხლიანებზე ფიქრისას კი ყურანიდან ერთი გამონათქვამი გამახსენდა: **„თუ გველს წააწყდები – არ იფიქრო იმაზე, რომ მისი მშობლები გველები (საზიზღრები) იყვნენ, რომ მას გველურად (საზიზღრად) ზრდიდნენ და მთელი მისი ცხოვრება გველური (საზიზღარი) იყო – უბრალოდ მოკალი იგი".**

V

ყოველი დღე ახალ საფიქრალს გვიჩენს: აი, „ერისიონის" რუსეთში გასტროლების გარშემო ატყდა ბჭობა-კამათი – საჭიროა ეს თუ მკრეხელობა? მართლაც, ომის ვითარებაში ვიმყოფებით და მტერ-ოკუპანტთან გამგზავრება და იქ ცეკვა-სიმღერა მეტი თუ არა, ჩვენი ღირსების შელახვაა, მაგრამ... მაგრამ სავსებით შესაძლოა, რომ ასეთი გასტროლები პოლიტიკურ იერიშად და ჩვენი ღირსების დემონსტრირებადაც იქცეს, ხოლო რუსეთი დაანამუსოს და ღირსებაც კი შეულახოს. ამიტომ, სამწუხაროდ „ერისიონის" შესაძლებელი იდეოლოგიურ-აგიტაციური მგზავრობა მხოლოდ თეორიულ მოსაზრებად დარჩება. სუხიშვილებზე რომ იყოს ლაპარაკი, თეორიაც არ იარსებებდა. მათ დიდი ხანია, დაკარგეს ეროვნული სულიერება და ქართული ქორეოგრაფიული პოპ-არტის (ყველაზე მდაბიური ვარიანტის) მიმდევრებად იქცნენ.

მალხაზ ჟვანია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სიფხიზლე და სიფრთხილეა საჭირო!

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო რეზოლუცია, ოფიციალურად მიმართოს საქართველოს პარლამენტს „რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირებისა და სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების თხოვნით. ახალქალაქის საკრებულოს ამ სხდომას დეპუტატებმა ისტორიული უწოდეს. საკრებულოს თავმჯდომარემ ჰამლეტ მოვსისიანმა კი განაცხადა, რომ „14 მარტი ჯავახეთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევა“. სამწუხაროა, რომ ამ მოთხოვნის ინიციატორია ახალქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“. ამით ფაქტობრივად ქართული ენის უზენაესობის კონსტიტუციური უფლება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ხვალ უკვე ჯავახეთში და ქვემო ქართლში სომხურსა და აზერბაიჯანულს რეგიონულ ენებად გამოაცხადებენ...

„რესპუბლიკელების“ განცხადებაში ნათქვამია, რომ პარლამენტმა უნდა მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებები „რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის მეშვეობით.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა თავის დროზე აიღო უპასუხისმგებლო ვალდებულება უმცირესობის ენების შესახებ ევროპის ქარტიის რატიფიცირების შესახებ.

ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა „კურიერის“ ეთერში განაცხადა. მისი თქმით, **წლების განმავლობაში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ევროსაბჭო ერთნაირად ელაპარაკებოდა, თუმცა, სააკაშვილმა 1999 წლიდან აიღო ვალდებულება, რათა, ადრე თუ გვიან, განახორციელოს რატიფიკაცია ევროპის ქარტიისა რეგიონალური და უმცირესობის ენების შესახებ.**

„ევროსაბჭოს 2000 წელს უნდოდა მიეღო საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, თუმცა, მიხეილ სააკაშვილმა თავის თავზე წინდაუხედავად აიღო ვალდებულება, ისე, რომ ეს საკითხი საზოგადოებაში არ განხილულა“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მინისტრის შეფასებით, **ამ ქარტიის მძიმე და საპასუხისმგებლო საკითხია ასევე მაჰმადიანი მესხების დაბრუნება.**

ზაქარეიშვილი ამტკიცებს, რომ საქართველომ ეს ვალდებულება უკვე აიღო და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევს ამ ქარტიასთან მიერთება. **„წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღებთ ვერანაირ ევროპულ ინტეგრაციას, რაზეც ასე ხშირად ლაპარაკობს ბატონი სააკაშვილი“,** – მისივე თქმით, ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას ვერ მოეწერება ხელი, სანამ საქართველო არ მიუერთდება ქარტიას.

საგულისხმოა, რომ ზაქარეიშვილს ფეისბუქით გამოეხმაურა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი. აი, რას წერს ბატონი ნოდარი:

„ჩემი კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს ახალქალაქის საკრებულოდან, სომეხთა სათვისტომოდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყოველთვიურად ვიღებდი წერილებს სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების მოთხოვნით. ეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური მოთხოვნა ჩემი კაბინეტის კედლებს არ გასცილებია. კომიტეტის სახელით წერილობითვე ვუპასუხებდი მხოლოდ ადრესატებს.

ახალქალაქის საკრებულოს წევრების ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნა საჯაროდ რომ გამოიტანეთ და მასმედიით სამსჯელოდ გინდათ გახადოთ, ეს ხომ იმას ჰგავს, კაცმა თავაზიანი ფორმით გახსნილი ყუმბარა რომ მოგაწოდოს და შენ ჩამოართვა. ასე მოიქცა დღეს „რუსთავი-2“ და ჩვენი მინისტრი ინტეგრაციისა. რამდენიმე კაცის ქვენა მიზნები მთელი ერის განსასჯელად გინდათ აქციოთ? უოქმო საქმე საოქმოდ გინდათ გახადოთ? არ არის ეს სახელმწიფოებრივი ჭკუის საუკეთესო დემონსტრირება.“

ბატონ ნოდარის სიტყვების საპირისპიროდ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი 2011 წელს აცხადებდა, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ენების რეგიონალურ ენებად აღიარების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობსო.

„ევროპული ქარტია“ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ეთნიკური უმცირესობების ენების გადარჩენაზეა ორიენტირებული“

„ჩვენ ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში გვაქვს ორი დოკუმენტი, ერთი „ეროვნულ უმცირესობათა კონვენციაა“, რომლის რატიფიცირებაც პარლამენტმა ევროსაბჭოში მიღებამდე მოახდინა (1998 წელს) და მეორე „რეგიონალურ ენათა ქარტია“, რომელიც რატიფიცირებული არ არის. შესაბამისად, ეს საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, თუმცა, ამაზე მსჯელობა მიმდინარეობს“, – განუცხადა მაშინ დარჩიაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“, „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე კომენტირებისას.

დეპუტატის განმარტებით, მიუხედავად საკითხზე მუშაობისა, რომელიმე ორგანიზაციის მხრიდან კატეგორიული მოთხოვნა, რომ „დღეს მივიღოთ ან ხვალ მივიღოთ გადაწყვეტილება“, არ ყოფილა.

„რეგიონალური ენის საკითხზე მსჯელობა იყო რამდენიმე თვის წინათ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტშიც და მასში მეც ვმონაწილეობდი, ანუ საკითხი შესწავლის პროცესშია და ეს პროცესი გაგრძელდება. წლის ბოლოს შეიძლება რაღაც დასკვნები დაიდოს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თემა არის რთული, ის ბევრ მუშაობას და კამათს მოითხოვს იმის თობაზე, თუ რას ნიშნავს რეგიონალური ენა, რომელ რეგიონებს უნდა ეხებოდეს ის, როგორი დეფინიცია გავაკეთოთ...“, – აღნიშნა დეპუტატმა.

ჯი-ეიჩ-ენ-ის ცნობითვე, **„ვიკილიქსის“ მასალების მიხედვით, საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი ვაშინგტონისთვის 2008 წლის 29 სექტემბერს მიწერილ ტელეგრამაში თურმე „სამართლიანად და კანონიერად“ მიიჩნევდა ეთნიკური სომხების მიერ საქართველოში სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადებას?!**

ნიშანდობლივია, რომ დარჩიაშვილი ამ საკითხს რთულ თემად მიიჩნევს და კამათს მოითხოვს, თუ რას ნიშნავს რეგიონალური ენა, რომელ რეგიონებს უნდა ეხებოდეს ის, როგორი დეფინიცია უნდა გავაკეთოთო... დარჩიაშვილის ადვოკატი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, დღევანდელი ე.წ. ქარტიის მომხრეები (ვგულისხმობ „რესპუბლიკელებს“) საკამათოს ვერაფერს ვერ ხედავენ ამ თემაში.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის აზრით, სააკაშვილი ქარტიასთან მიმართებით არაფერ შუაშია; **„შევარდნაძის ხელისუფლებამ (მგონი, მაშინ მიშა იყო ევროსაბჭოში პარლამენტის წარმომადგენელი; ლანა ღოღობერიძეც იქ იყო და სხვებიც) მაშინ აიღო ვალდებულება ქარტიის რატიფიკაციაზე და არა – კონკრეტული ენების ჩამონათვალზე.**

ქარტია კარგი დოკუმენტია, მაგრამ მავანნი თავს გვახვევდნენ და ახლაც იგივე ძალები თავს გვახვევენ ქარტიის დეფორმირებულ გააზრებებს (ეს ყოველივე აღწერილია ჩემი და ჩემი თანაავტორების მიერ გამოქვეყნებულ წიგნებსა თუ სტატიებში)“... ბატონი ტარიელი ფეისბუქის გვერდზე განაგრძობს: **„მე ბევრ სომეხს ვიცნობ, რომელიც ძმობასა და კეთილმეზობლობაზეა ორიენტირებული; მცირე ჯგუფის გამოყენებას კი ყოველთვის ახერხებდა რომელიმე მეზობელი იმპერია... ასეთი „მცირე ჯგუფი“ ყველა ეთნიკურ ჯგუფში მოიძებნება“...**

„ახლა მთავარია, „ევროპული ქარტია“ არ აქციოს ვინმემ პოლიტიკურ თემად; ეს კეთილშობილური დოკუმენტი ორიენტირებულია გადაშენების, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ეთნიკური უმცირესობების ენების გადარჩენაზე. სომხურ ენას კი საკმარისი უფლება აქვს საქართველოში; გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქე სომეხთათვის უფრო არსებითია სახელმწიფო ენის სწავლით ინტეგრირება საქართველოს ცხოვრებაში.

შედარებისთვის: სომხეთის მოქალაქე ყველა ქართველმა, აზერბაიჯანის მოქალაქე ყველა ქართველმა თავისუფლად იცის ამ ქვეყნების ენები; მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მოქალაქეობა არ არსებობს სახელმწიფო ენის ფლობის გარეშე; ამ მიმართულებით და ჩვენს კეთილმეზობლობაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი“.

ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როცა უმცირესობებს ვამბობთ, უნდა დავაყოლოთ, თუ – სად. თბილისში რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და მრავალი სხვა უმცირესობაა და მათგან უმრავლესობას საკუთარ ენაზე სკოლები, თეატრები, სალოცავები ... აქვთ. **ჯავახეთში, მაგალითად, უმცირესობას ქართველები წარმოადგენენ და მათზე უნდა ვიზრუნოთ, როგორც უმცირესობაზე. სხვაგვარად რომ იყო, ამიტომ სხვა ქვეყნებთან მომიჯნავე ტერიტორიებზე ქართული ენა და წესჩვეულება, მენტალიტეტი რუსულმა შეცვალა და მივიღეთ ჩვენი გარუსებული მოქალაქეები. ამას რაც მოჰყვა, ყველამ იცის.**

რეგიონალურ ენად კი არა, ვინც ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის გამოცდას ვერ ჩააბარებს, საქართველოს მოქალაქეობა არ უნდა მიეცეს, საქართველოს უამრავი მოქალაქე ჰყავს, რომელმაც არც ქართული და არც ჩვენი ისტორია არ იციან.

ამ, მართლაც, პრობლემურ საკითხზე გუშინ ქართველ პატრიოტთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულმა ფრონტმა“ საპროტესტო აქცია მოაწყო „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ოფისთან (მერაბ კოსტავას 25) შემდეგი მოთხოვნებით: **„არა რეგიონულ ენებს!“; არა აფხაზეთის რკინიგზის გახსნას ცალმხრივი დათმობის პირობებში“; „ვგმობთ ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილებას“; „არა ე.წ. თურქი მესხების შემოსახლებას“; „გაუქმდეს საქართველოს რეგიონალური მოწყობის მოდელი“.**

ჩვენ კი ჩვენდათავად დავძენდით: სიფხიზლე და სიფრთხილეა საჭირო! პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ, თუმცა, ჯავახეთთან დაკავშირებით თუ საქართველოსთვის სასარგებლო ნაბიჯები არ გადაიდგა, მალე უძველეს და უმნიშვნელოვანეს კუთხეს – მესხეთსაც მიაყოლებენ... ერის ინტერესი მაქსიმალურად უნდა იყოს იქით მიმართული... ამ ყველაფერს დიპლომატიური მიდგომა და ხალხის მხარდაჭერა უნდა!

ნატა ნიბლაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ევროპული ქარტიის რატიფიცირება სეპარატიზმის წახალისებაა

ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი ლანა ღოღობერიძე რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირებაში სეპარატიზმის წახალისების საფრთხეს ხედავს. მისი აზრით, ამის გაკეთება საქართველოსთვის ძალიან საშიშია.

– ერთის მხრივ, დღევანდელი ტენდენციაა, რომ ევროპა დეცენტრალიზაციისკენ მიდის და მართლაც, ჩვენ ამ ვალდებულებაზე ხელი გვაქვს მოწერილი. მეორე მხრივ, ეს სეპარატიზმის წახალისებაა, რაც ჩვენნაირი ქვეყნისათვის მართლაც ძალიან საშიშია. ახლა როგორღაც ამ საკითხს გვერდი უნდა ავუაროთ, რაზეც თან ლაპარაკიც კი უხერხული და ძნელია. ფაქტია, რომ ჩვენ ამ მხრივ ძალიან გვიჭირს და იმის ფუფუნებაც არა გვაქვს, რაც აქვთ საფრანგეთს თუ ესპანეთს, როცა ბასკები მოითხოვენ რაღაცას, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ლანა ღოღობერიძემ.

ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი იმასაც ამბობს, რომ ქვეყანას არც იმის ფუფუნება ჰქონდა თავის დროზე, ევროსაბჭოში გაწევრებისას, რეგიონული ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირების ვალდებულებაზე უარი ეთქვა.

– არის ფუნდამენტური დებულებები, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი. ჩვენთვის ეს პრობლემა ყოველთვის იდგა, მაგრამ მაშინ ასე გამწვავებული, როგორც დღესაა, არ იყო. საქართველოს არც იმის ფუფუნება ჰქონდა, რომ ამ ვალდებულების აღებაზე უარი ეთქვა. მაშინაც იყო პოზიცია, რომ ზოგადი დებულებაა და მალე ვერ გახორციელდება. ჩვენ იზოლაციაში მოხვედრა არ შეგვიძლია, ეს ტრაგიკული იქნება ქვეყნისთვის, ამიტომ საერთაშორისო სამართლის ნორმებს უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ ის, რაც ჩვენთვის მართლა მიუღებელი და მძიმეა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, არ უნდა გავაკეთოთ, – აცხადებს ლანა ღოღობერიძე.

მისივე მონაცემებით, აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირების ვალდებულება ევროსაბჭოს წევრ ყველა ქვეყანას აქვს აღებული, „მაგრამ ყველა უფრთხის და ცდილობს, ქვეყნის საერთო ინტერესები არ დააზიანოს“.

შეგახსენებთ, რომ ახალქალაქის საკრებულოს წევრები უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირებას და შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებებს ითხოვენ. ისინი ქარტიის რატიფიცირების თხოვნით დავით უსუფაშვილს მიმართავენ, – იუწყება ინტერპრესი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

80:34

***ჩვენი** გაზეთის 14 მარტის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა) ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა სია, რომელშიც 80 მაძიებელი შევიდა 34 გამოცხადებულ ადგილზე. თავს მცირე ანალიზის ნებას ვაძლევთ ამ ნუსხის საფუძველზე.*

სიის შიგნით, ალაგ-ალაგ, გვარიანი კონკურენცია შეიმჩნევა. მაგალითად, მათემატიკოსებთან 2 ადგილზე 10 კონკურენტი მოდის, ანუ ერთზე ხუთი, იმ 10-დან 4 აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. მსგავსი „ჯახაჯუხია“ მოსალოდნელი ბიოლოგიაში, აგრეთვე ნეიროფიზიოლოგიაში და კიდევ რამდენიმე განხრით.

სანამდვილწევრო არჩევნებში სულ 42 წევრ-კორესპონდენტი იყრის კენჭს, ასე რომ, გამოცხადებული 34 ვაკანსია მათაც არ ჰყოფნით... შეინიშნება შემდეგი საგულისყურო გარემოება: სიის მიხედვით 14 შემთხვევაა ისეთი, როცა ერთ ადგილზე მონიშნულია ერთადერთი მაძიებელი (როგორც მათემატიკოსები იტყვიან, ურთიერთცალსახა თანადობაა დამყარებული ვაკანსიასა და პრეტენდენტს შორის – ერთი ერთზე...); ამგვარად, 14 კანდიდატს შეუძლია მშვიდად ყოფნა – აკადემიკოსის მანტიის წამოსხმა განაღდებული აქვთ, „უხუთწუთო“ ნამდვილი წევრები არიან თუ, რა თქმა უნდა, შესაბამის განყოფილებებში და შემდგომ, საერთო კრებაზეც ამრჩევთა (ხმების მიმცემთა) კეთილი ნებაც იქნება...

ვიწყებთ აკადემიკოსობის კანდიდატების გაცნობას

— — — — — — — — — — — — — — —

ნოდარ ლომოური



წარდგენა

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, იქვე – ასპირანტურაც. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1977). 164 ნაშრომის ავტორია, მათ რიცხვშია 18 მონოგრაფია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ ენებზე, რომელთა ნაწილი უცხოეთში გამოვიდა.

ამჟამად ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი მკვლევარია, სადაც, აქვე სათქმელად, კარგა ხანს ბიზანტინოლოგიის განყოფილებას უძღვებოდა (1975-2006). სხვადასხვა დროს გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პრორექტორი და შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წაკითხული აქვს ძველი მსოფლიოს ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის კურსები.

არის საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსთში გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის „Бизантийский временник“-ისა და საპატრიარქოს ჟურნალ „სამი საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, ბიზანტისტთა მსოფლიო ასოციაციის საქართველოს კომიტეტის პრეზიდენტი, 40-ზე მეტი „ახარისხებული“ მოწაფის მეცნიერი ხელმძღვანელი.

დიალოგი

მკითხველს ვთხოვ, ნუ გამკიცხავს, რომ რესპონდენტს უბატონოდ ვცემ ხმას და ერთგვარად შინაურულად ვემუსაიფები – მე იმისი ძველი კი არა, ძველისძველი ამხანაგი და „დამატებით“ თანაფეხბურთელი ვარ 1960-იანი წლების უნივერსიტეტის ლექტორთა გუნდიდან (არცთუ ურიგოდან და უსახელოდან)...

– ნოდარ, როგორ გგონია, ერთობ სოლიდური მეცნიერული პროდუქტის შემქმნელს, მაგრამ 87-ე წელში გადამდგარს, ყველაზე მიმხცოვნებულს აკადემიის ნამდვილი წევრობის მოწადინეთა შორის კვლევითი პოტენციალი რამდენად შემოგრჩა?

– რამდენად და სრულიად დამაკმაყოფილებლად, რასაც მოწმობს შარშან გამოსული მონოგრაფია **„საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობის ისტორია“,** წიგნი I. ახლა ინტენსიურად ვმუშაობ II წიგნზე.

– რა შეხედულებისა ხარ ქვეყანაში მეცნიერებისა და განათლების მდგომარეობაზე?

– განათლებაცა და მეცნიერებაც საკვალაო, საშინელ დღეში ჩააგდეს, თუმცა, შენ წარმოიდგინე, აღდგენისა და განვითარების იმედი გამიჩნდა.

– მეცნიერებაში შენი მასწავლებლებიდან ვის გაიხსენებდი?

– ორ გამოჩენილ სწავლულს, ორ სახელგანსმენილ აკადემიკოსს სიმონ ყაუხჩიშვილსა და ნიკო ბერძენიშვილს. ბატონი სიმონი გახლდათ მომთხოვნი, მზრუნველი, გზის გამკვლევი. ბატონმა ნიკომ შემაყვარა საქართველოს ისტორია, ამ კუთხით ჩემი მუშაობის სწორი გეზი წარმართა და არქეოლოგიურ საქმიანობაშიც ჩამაბა.

– პროფესიის მიღმა ინტერესებზე რას იტყოდი?

– ყოველთვის მიყვარდა ქართული მხატვრული ლიტერატურა, ვალდებულიც ვიყავი, როგორც ნიკო ლომოურის შვილიშვილი... ახალგაზრდობაში სპორტითაც გახლდათ გატაცებული და დაკვებულიც. არქეოლოგიასაც „მივეჯაჭვე“, თვით გათხრების ჩათვლით. გამორჩეულად დამამახსოვრდა ნოქალაქევი (ციხეგოჯი სენაკის რაიონში), სადაც გათხრებს ნაპოლეონ ზაქარია ხელმძღვანელობდა, მე მოადგილე ვიყავი.

– თუ შეიძლება, შენი ოჯახი წარმოგვიდგინე.

– მეუღლე ლიანა ძაძამიძე გერმანისტია, ჩვენი ქალიშვილი ნატალია – ისტორიკოსი, პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ქეთევანი – ძველი მსოფლიოს ისტორიის ეთნოლოგი და სპეციალისტი. ორი შვილიშვილიც მყავს...

...პირადად ჩემთვის სავსებით ცხადი გახდა, რომ ეს მიმხცოვნებული კაცი საакადემიკოსო ზღურბლთან ნათელი გონებით, მეხსიერებით, მკვლევრული ენერგიის ძალუმად შემორჩენითა და მძიმე მეცნიერული ტვირთის ქვეშაც წელში მოუხრელი მოსულა. ისღა დამრჩენია, წარმატებით გადაბიჯება ვუსურვო...

თამაზ ებანოიძე

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ფულადი გზავნილები

დინება „უკუდინების“ გარეშე

ერთ-ერთი პოპულარული „შესაშინებელი ამბავი“, რომლითაც კოალიცია „ქართული ოცნების“ დაუფარავი თუ შენიღბული მოწინააღმდეგენი ობივატელს „ძილს უფრთხობენ“, ნაცმოძრაობის მიერ აშენებული ქვეყნის ნანგრევებად ქცევის მცდელობაა, მრავალი პროექტის დაუფინანსებლობაა, რაც უწინ ასე მოძალებულ ინვესტორთა ქვეყნიდან ლამის ტოტალური გაქცევით აიხსნება. ინვესტიციები ბოლო წლებში საქართველოში მართლაც საკმაო ოდენობით შემოდიოდა, ოღონდ მათი ეროვნული ეკონომიკისთვის სარგებლიანობა ძალიან ბევრ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევდა და ახლაც არაერთ კითხვას ბადებს. ასევე მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ უცხოურ ინვესტიციათა დონე, რეკლამის მიუხედავად, სასურველზე და, მით უმეტეს, საჭიროზე გაცილებით ნაკლები იყო, რის დასადგენად ზოგიერთი ციფრის უბრალო შედარებაც კმარა.

ეროვნული ბანკის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული მონაცემები უტყუარად მოწმობს, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის არათუ კეთილდღეობა, არამედ თვიდან თვემდე თავის გატანა საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული, რომლებსაც უცხოეთში წასული ნათესავები და ახლობლები უკითხავენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მსოფლიოში საზღვარგარეთ სამუშაოდ თუ დროებით საცხოვრებლად 215 მილიონი კაცია წასული, რომელთა სამშობლოში დარჩენილი ახლობლებისთვის დახმარება 21-ე საუკუნეში წლიდან წლამდე იზრდება, თანაც მათი მთლიანი მოცულობა (ცხადია, ძირითადად განვითარებად და ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში) პირდაპირ უცხოური ინვესტიციებისა და საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების ოდენობას აღემატება. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ განვითარებად და, მით უმეტეს, მესამე სამყაროს ქვეყნებში ახლობლების დახმარება, ფაქტობრივად, უამრავი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყაროა. კერძოდ კი **წლეულს, იანვრის თვეში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს მოსახლეობამ მთლიანად მიიღო 94,1 მილიონი დოლარი (156,1 მილიონი ლარი), რაც 11,5 პროცენტით მეტია ანალოგიური პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელზე.**

კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავია მოსახლეობის მიერ 2011 წელს მიღებულ ფულად გზავნილთა ოდენობის ამავე პერიოდში ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობასთან შედარება – შესაბამისად, მილიარდ 268 მილიონი დოლარი და მილიარდ 117 მილიონი დოლარი, რაც საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების მნიშვნელობას ნათლად წარმოაჩენს. ამდენად, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობა, ასევე ეროვნული ეკონომიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი სეგმენტის (ვთქვათ, საბანკო სფეროს) განვითარება დიდადაა დამოკიდებული საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებზე. საგულისხმოა ისიც, რომ, როგორც ამას ანალიტიკოსები აღნიშნავენ, უცხოეთიდან ახლობლებს (ასეთი კი საქართველოში დაახლოებით ყოველი მეათეა) ფულის მთლიანი მოცულობის ძირითად ნაწილს უკვე ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს ქვეყნიდან წასული მიგრანტები გზავნიან. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მოწმობს იმ საკვალაო ფაქტს, რომ **ბოლო ოცი წლის მანძილზე ქვეყნიდან ყველაზე მეტად შრომისუნარიანი, განათლებული და მუშახელის ბაზარზე ყველაზე წარმატებული, საკუთარი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში მყოფი ხალხია წასული.**

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წლების მანძილზე საქართველოში ფულადი გზავნილების გამომგზავნთა გეოგრაფია სტაბილურობით ხასიათდება. მათი მასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება იმაზე, თუ როგორია სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ემიგრაციის სიმჭიდროვე და რამდენად აქტიურად არიან ისინი ინტეგრირებულნი ადგილსამყოფელი ქვეყნის შრომის ბაზარზე. სტატისტიკა მოწმობს, რომ ფულადი გზავნილების ამბსოლუტური **უმრავლესობა (თითქმის 93 პროცენტი) ძირითადად თორმეტ ქვეყანაზე მოდის. ესენია, კერძოდ, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, შემდეგ მოდიან ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ყაზახეთი, ისრაელი და გერმანია.** მათ შორის სხვებზე უფრო „ახალი ქვეყანაა“ ინდოეთი, სადაც ბოლო წლებში მრავალი ჩვენი თანამემამულე წარმატებით მოღვაწეობს. ამასთან, რუსეთის პირველობა ამ სიაში სავსებით გასაგებია, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს მოსახლეობისთვის იგი ტრადიციულად საემიგრაციოდ სხვებზე უფრო მიმზიდველი ქვეყანაა, მეორეც ის, რომ მიგრანტთა ოდენობის მიხედვით მსოფლიოში მას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები უსწრებს. **21-ე საუკუნის დამდეგიდან კი რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა დაახლოებით ათჯერაა გაზრდილი!**

ისე კი აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ დასახელებული თორმეტი ქვეყნის გარდა, საიდანაც საქართველოში ყველაზე მეტი ოდენობით ფულადი გზავნილი შემოდის, ახლობელ-ნათესავებს მატერიალურად კიდევ არაერთი ათეული ქვეყნიდან ეხმარებიან – მათმა რიცხვმა, კერძოდ, შარშანწინ 190-ს მიაღწია. ხოლო თუკი **რეგიონების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ შორის უდავო ლიდერია დსთ-ს ქვეყნები, რომლებზე გზავნილთა 60 პროცენტი მოდის, შემდეგ მას ევროპა მოსდევს 28 პროცენტით, 12 პროცენტი კი დანარჩენ ქვეყნებზეა განაწილებული.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებულ ფულად გზავნილთა ოდენობა წლის მანძილზე საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მიღებული გრანტების მთლიან მოცულობას აჭარბებს და, ამდენად ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური ფონის შემსუბუქების მხრივ მათი სტრატეგიული მნიშვნელობა განუზომლად დიდია. მათი კიდევ ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ ამ ნაკადს, ასე ვთქვათ, „უკუდინება“ არ ახასიათებს, რასაც სხვა შემთხვევაში ვალის ან მისი პროცენტის გადასახადის აუცილებლობის სახით წარმოიქმნება ხოლმე.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სკანდალური ავტორიზაცია

ერთ ლარად ნაჩუქარი 200-მილიონიანი ქონება,

ანუ, ამბავი ბენდუქიძის დიდი მუცლისა და პატარა ყურებისა...

ნათქვამია, ქონებას ყურები არა აქვსო. მართლაც, დღევანდელ საზოგადოებაში არმად დაგროვილი დიდი ქონების პატრონებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ვერაფერს ხედავენ და ისმენენ ისინი, თუ რას ლაპარაკობს ხალხი მათზე. მაგალითების საძებნელად შორს სიარულმა რომ არ მოგვიწიოს, ამ ორიოდე დღის წინანდელ ამბავს გავიხსენებ, როცა აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან თუ შეჩერებასთან დაკავშირებით აგორებულმა ტალღამ შამაიების სანსვლით გაბეყვილი ლოქოსავით გამოაგდო ნაპირზე ეს ჩვენი ეკონომიკნამინისტრალი კახა ბენდუქიძე. ჰოდა, მანაც როგორც ხაფაცმა (მომხვეჭელმა) და სხვისი ქონების მიმტაცებელმა კი არა, როგორც სიკეთითა და სინდის-ნამუსით გაძეძგილმა პერსონამ, ამა ქვეყნის ძლიერთა უსამართლობით დათრგუნულის პოზა მიიღო და დაჩაგრულის ხმით ამოიხავლა: მიშველეთ, ხალხო, მახრჩობენ ეს ეშმაკის კერძები, სიკეთეს ვშვრები და უკეთურობას მწამებენ, ახალგაზრდობას ცოდნას ვაძლევ და დამნაშვედ მნათლავენ. ვიცი, რევანშის წყურვილი ამოძრავებთ და ჩემი მოცილება სურთ, მაგრამ რა დააშავა 2 ათასმა სტუდენტმა, რომელთაც სწავლა-განათლების კარს უხშობენო(!?).

ბენდუქიძის ამ გულისშემძვრელმა მონოლოგმა ხალხში დიდი შფოთი და გაუგებრობა გამოიწვია. კახას გაიმასქნებით ზოგმა გული მოიფხანა, ზოგმა — ენა, ზოგმა შეიბრალა კიდეც — რას ერჩიან ეს მამაცხონებულები ამ ბატკანივით უვნებელ კაცს, რაც კი რუსეთში და მერე საქართველოში ფული იშოვა, ახლა კაპიკდაუზოგავად სტუდენტთა აღზრდა-განათლებას ახმარს და მეტი რაღა მოიმოქმედოს, რახან თვალტანადი და მუცელრუმბაა, ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფრით კმაყოფილი და ნეტარბედნიერიაო. ასეა ნამდვილად, მისი ლომური გარეგნობა და ვაჟკაცური ხიბლი ბევრს ატყუებს.

თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, ბენდუქიძის კოზირი, რამაც ქვეყანა გაანიორწყლა, ჯანში კი არა, მის გონში გახლავთ. რა დასამალია, სწორედ მისმა ჭარბმა ინტელექტმა და ელვარე ნიჭიერებამ, დიდ საბიზნესო გამოცდილებასთან ერთად, რომელიც რუსეთში დააგროვა, მისცა ბიძგი სიღარიბით გაძვალტყავებულ საქართველოს ნაცების მმართველობის პერიოდში წარუმატებლობა ერთბაშად დაეძლია და მსოფლიოს ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოთა შორის აღმოჩენილიყო. ქვეყანაში გატარებულ ლიბერალურ რეფორმებთნ ერთად, უდიდესი იყო ბენდუქიძის წვლილი აგვისტოს მოგებულ ომშიც, რომლითაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი რეიტინგი მსოფლიოს თვალში ასერიგად დაიმშვენა. იმ ომმა რუსეთის ეკონომიკა ერთიანად მოფურტკნა, ჩვენსას კი კენჭიც ვერ ააგდებინა.

მაინც ედავებიან ამ საწყალ ბენდუქიძეს, უმადურ ადამიანებს აბა რა გამოლევს ამ დუნიაზე. ჰოდა ისინი, უმადური და ანგარებიანი ოპონენტები მაშინაც ნერვებს უწეწავდნენ, როცა ბენდუქიძე სახელმწიფო მინისტრის სკამიდან ეკონომიკის მართვის მათრახს ღატაკი ხალხის ზურგზე შეუბრალებლად ატყლაშუნებდა და ახლაც, როცა ეს მათრახი ხელიდან გააგდებინეს, თუმცა ლიბერალური იდეების ფრქვევას მაინც ვერ გადააჩვიეს. ზოგი იქამდეც მივიდა, რომ ქართული ეკონომიკის აწ უკვე ყოფილ „ეკონომიკის მამას“ ვირის აბანოში ერთიანად დამრგვალებული თათქარიძისეული თავფეხის გახეხვითაც ემუქრებიან. ეს ბოლო პასკვილი მაინც მეტისმეტი იყო, აგრარული უნივერსიტეტის მართვაში ვითომ კანონდარღვევები რომ აღმოუჩინეს და სასწავლებელს ავტორიზაცია „უპრაგონოდ“ წაართვეს.

თუმცა, ვიდრე სავარძელგამოცლილი ბენდუქიძე მისთვის ჩვეული ბაჯბაჯით აგრარულ უნივერსიტეტამდე მიაღწევდა, მანამდე ოფლმოუწურავად იღვაწა ქვეყანაში სამარცხვინოდ ჩავარდნილი აგრარული მეურნეობის ფეხზე წამოსაყენებლად. ამას ახლა სევდანარევი ღიმილით იხსენებს ბენდუქიძის მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის გამგრძელებელი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ლაშა ჟვანია, რომელიც „რეზონანსისთვის“ (2013 წლის 14 მარტი) მიცემულ ინტერვიუში ბატონი კახას მაშინდელ შემოქმედებაზე თვალხატულად საუბრობს. მაშინო, ამბობს ბატონი ლაშა, სამინისტროში იმიტომ მივედი, მაქსიმალურად შემეწყო ხელი სოფლის მეურნეობისთვის, რომელსაც სახელმწიფო სუფსიდირება ჰაერივით სჭირდებოდა, ბენდუქიძე კი ამას ეწინააღმდეგებოდა, აცხადებდა: **„ქვეყანაში რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები თავის ტკივილი იქნებაო“. და კიდევ, მეჩაიეობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერაო.**

ლაშა ჟვანიას ეჭვი ეპარება, რომ კახა ბენდუქიძე, რომელიც სოფლის მეურნეობისადმი ასეთი „პარტნიორული თვალთახედვით“ გამოირჩეოდა, ახლა მიმართულება შეიცვალა და აგრარული უნივერსიტეტის აღორძინება-განვითარება დაისახა პრიორიტეტად. ამიტომაც მოითხოვს ის, აგრარულ უნივერსიტეტში სამართალდამცავებმა ჩაიხედონ და დაადგინონ: **რა ფასად შეიძინა ბენდუქიძემ ეს უნივერსიტეტი, რა მიწები, რა მატერიალური ქონება მოყვებოდა სასწავლებელს, რეალურად მისი პრივატიზებით რა შეიძლებოდა სახელმწიფოს მიეღო და ფაქტობრივად რა მიიღო. ამასთან, ისიც გასარკვევია, ლომოურის სამეცნიერო-საექსპერიმენტო ინსტიტუტის სამეცნიერო ბაზა და საუკეთესო მიწის ნაკვეთები, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომელთა თხოვნით გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს, რატომ ან როგორ მოხვდა ბენდუქიძის ხელში?**

ამ კითხვას, შეიძლება ითქვას, უკვე გასცა პასუხი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ **„ერთ ლარად აქვს ნაჩუქარი ბენდუქიძეს 200-მილიონიანი ქონება, ხოლო რატომ, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს და არც ამ ქონების ტოლფასი ინვესტიციების ეტყობა რამე ამ აგრარულ უნივერსიტეტს. ბენდუქიძე პირველი იდეოლოგი იყო, რომლის მიდგომების შედეგად განადგურდა ქართული სოფელი და საინტერესოა, ვის უზრდის კადრებს ბენდუქიძე?!“**

აი, სწორედ აქ არის საქმის არსი და არა ბენდუქიძის პოლიტიკური მოტივით დევნაში, რაშიც ის დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს. ფაქტია, რომ აგრარული უნივერსიტეტის პრივატიზაცია მოხდა კანონდარღვევით და ფასიც სიმბოლური გადაახდევინეს. **კახა ბენდუქიძე და გიული ალასანია (პრეზიდენტის დედა) არიან ის პირები, რომლებმაც განათლების სფეროში მონოპოლიები შექმნეს და უმაღლეს სასწავლებლებში სპეკულაციურად მაღალი ფასები დააწესეს. დღეს თუ გვინდა, რომ უმაღლესი განათლება რეალურ ნიადაგზე დადგეს და ცივილიზებულად განვითარდეს, ამ სფეროში უკანონოდ შექმნილი მონოპოლიები უმოკლეს ვადაში უნდა დაინგრეს და დაიშალოს. რაც შეეხება აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციას, ის სასწავლებელს კი არა, თავად ბენდუქიძეს უნდა ჩამოერთვას.**

როგორ ფიქრობთ, ბენდუქიძემ, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკის განადგურების რეფორმები თვალხუჭულამ შეიმუშავა, იმდენი აღარ იცის, ამ ყველაფერს რისი სუნი უდის, რომ იყნოსოს და დროულად გაერიდოს? მშვენივრადაც იცის, მაგრამ ჩვეული ვირეშმაკობით ცდილობს, შექმნილი სიტუაცია უსიამოვნო მოლოდინების გასათეთრებლად (ამის დიდოსტატია!) გამოიყენოს, სტუდენტებს ამოეფაროს და ხელისუფლება ახალგაზრდების ინტერესების უგულებელყოფაში დაადანაშაულოს. ამის შემყურეს, გიჩნდება განცდა, რომ ბენდუქიძეს, რომელსაც მუცელიც სტანდარტულზე გაცილებით დიდი აქვს და უნაყოფო იდეებით გამოტენილი თავიც, ყურები საერთოდ არ გააჩნია, რათა ყოველივე ეს, რაზეც ამ წერილშია საუბარი, ყურადღებით მოისმინოს და დასკვნებიც შესაბამისი გამოიტანოს.

რახან ასე დაიბნა ჩვენი რეფორმატორი ბენდუქიძე, რომ ანალიზის უნარი დაკარგა, შემიძლია ვურჩიო კიდეც — დღესვე დაწეროს განცხადება და საკუთარი სურვილით ჩააბაროს სახელმწიფოს 1 ლარად ნაყიდი 200-მილიონიანი აგრარული უნივერსიტეტი (მითვისებული მიწებიც), როგორც ამას თავის დროზე თვითონ „სიხარულით“ აკეთებინებდა ურჩ ბიზნესმენებს, როცა ხელისუფლების სათავეში იჯდა. ნუ გეშინიათ, ბატონო ნამინისტრალო, გავა დრო, მოვა სხვა ხელისუფლება, რომელთანაც შეგეძლებათ, იჩივლოთ, რომ „ოცნებამ“ ქონება იძულებით წაგართვათ და რა იცით, იქნებ უკლებლივ უკანვე დაიბრუნოთ.

გარისკეთ, ბატონო კახა!

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია მაქსიმალურად სწრაფად მიენიჭება

აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია მაქსიმალურად სწრაფად მიენიჭება.

ამის შესახებ დიპლომატიურ კორპუსსა და არასამთავრობოებთან შეხვედრის შემდეგ განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამინისტრო აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებაში კანონის ფარგლებში მუშაობდა.

მინისტრის აზრით, კომიკურია 12 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა.

„ჩვენ ახლა კომიკურ ვითარებაში ვართ. აგრარულმა უნივერსიტეტმა გამოასწორა შეცდომა. მინისტრი ამბობს, რომ ავტორიზაცია მიეცემა; ახლა სტუდენტების გადასაწყვეტია, ავტორიზაცია უნდათ თუ პოლიტიკა. ამგვარი მოთხოვნა თითიდან გამოწოვილია იმისთვის, რომ ბენდუქიძემ პოლიტდევნილის სტატუსი შეინარჩუნოს, რაც უკვე შეუძლებელია, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მარგველაშვილის ვარაუდით, აგრარული უნივერსიტეტი ავტორიზაციას დაახლოებით ორ-სამ კვირაში მიიღებს.

თურმე ახალაიას აღვოკატებს შესავალი სიტყვა მომზადებული არ ჰქონიათ

თბილისის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების საქმის არსებითი სასამართლო განხილვა 22 მარტამდე გადაიდო.

პროცესის რამდენიმე დღით გადადების შუამდგომლობით მოსამართლე გიორგი დარახველიძეს ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა მიმართეს. მათ მოითხოვეს, რომ დაცვის მხარის შესავალი სიტყვისთვის რამდენიმე დღე განისაზღვროს, რათა სიტყვის ჩამოყალიბება ბრალდებულთან ერთად შეძლონ.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებულებს, მათი ადვოკატები მზად იყვნენ შესავალი სიტყვისთვის, თუმცა თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაცვის მხარის შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს.

ამას შეეწინააღმდეგა ბრალდების მხარე, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და პროცესის არსებითი განხილვა 22 მარტისთვის გადაიდო.

სასამართლო პროცესის დაწყებისას დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ არსებითი განხილვისას მოხდეს პროცესის აუდიო ჩაწერა. აღნიშნულ შუამდგომლობას პროკურატურა შეეწინააღმდეგა, თუმცა მოსამართლის გადაწყვეტილებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

მუსლიმი ახუნდები მუსლიმი შეიხის წინააღმდეგ საქმის მოგვარებას პრემიერს სთხოვენ

ძველმო ძართლის რეგიონის მცხოვრები მუსლიმი სასულიერო პირები — ახუნდები დახმარებას საქართველოს პრემიერ-მინისტრს სთხოვენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ახუნდმა მუჰამედ შამილოვმა განაცხადა, ექვსი თვის წინ საქართველოში მცხოვრებმა მუსლიმთა სასულიერო პირებმა ახალ შეიხად მირჰუსეინ ასადოვი აირჩიეს, თუმცა ძველი შეიხი ვაგიფ აკფეროვი გადადგომას არ აპირებს.

მათი თქმით, მარნეულსა და გარდაბანში მეჩეთებთან აქციებიც გამართეს, თუმცა ამჟამად უკვე დახმარებას პრემიერ-მინისტრს სთხოვენ. ახუნდების ცნობით, ვაგიფ აკფეროვი მიხეილ სააკაშვილის მიერ დანიშნული შეიხია.

ახუნდების თქმით, ვაგიფ აკფეროვი კრიმინალიც იყო და 14 წელი იჯდა ციხეში. ისინი ყოფილ შეიხს ასევე ადანაშაულებენ მუსლიმანური ადათ-წესებისა და კანონების სრულყოფილად არცოდნაში.

მათივე თქმით, ყოფილ შეიხს გადასცეს დიღომში მდებარე კალაშოვის სახლი და იქ ცხოვრობს. მსახურებებს კი, ორთაჭალაში, ჯუმა მეჩეთში ატარებს. პრესკონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს მუსლიმი სასულიერო პირების ხელმოწერები და მიმართვა პრემიერ ბიძინა ივანიშვილისადმი.

შტორმმა აჭარას ვერაფერი დააკლო

აჭარის სანაპიროებზე ზღვის შტორმის 4-ბალიანი სიმძლავრე დაფიქსირდა, ხოლო წამში — 20 მეტრი ქარი. უსაფრთხოების გამო, ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტი ბათუმის იახტკლუბშია თავმოყრილი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მამუკა თურმანიძემ განუცხადა.

როგორც თურმანიძემ განმარტა, 4-ბალიანი შტორმი ზღვის ძლიერ ღელვას ნიშნავს, თუმცა როგორც თურმანიძემ აღნიშნა, რაიმე სახის ზარალი ამ დრომდე არ დაფიქსირებულა. მისივე ინფორმაციით, უსაფრთხოების გამო, ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტი ბათუმის იახტკლუბშია თავმოყრილი. დაზღვევის მიზნით, აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო საგანგებო რეჟიმზე მუშაობას განაგრძობს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ს/კ „კათარზისის“ 2012 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ის, რითაც ჩვენ ყოველდღიურად ვართ დაკავებული, ანუ სისტემატური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების სახითაა ატარებს.

სისტემატური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ბიბლიოთეკა, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, ხანდაზმულთა ხალხური, კლასიკური და საეტრადო გუნდები, აგრეთვე ინვალიდთა თეატრი.

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ადამიანთა დაკრძალვა ხდება, ვინც ღვთის ანაბარად არიან დარჩენილნი.

უფასო სასადილო ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება, 15 მწოლიარეს ყოველთვიურად მიეწოდება ბინაზე მშრალი პროდუქტები ჩვენი თანამშრომლებისა და ბენეფიციარების, აგრეთვე მოხალისეებისა და მწოლიარეთა მეზობლების ხელით.

კვება მიმდინარეობს სამ ცვლაში. სასადილოში დასაპურებელ ადამიანთა რაოდენობა განისაზღვრება ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობით. ექვს თვეში ერთხელ სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, როგოც წესი, ეწვევიან ხოლმე ქალაქში მოქმედ სხვა უფასო სასადილოებს და ამოწმებენ - ორ ადგილას ხომ არ სადილობს ერთი და იგივე ბენეფიციარი.

უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოს მომსახურებით, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. სულ სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანილ ადამინთა რაოდენობა ათასს სჭარბობს. საპარიკმახეროთი უფასო სარგებლობის შესაძებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს (ბენებრივია, ბენეფიციართა ჩათვლით), რომელიც ამგვარი თხოვნით მიმართავს სახლის დედას.

ხანდაზმულთა გუნდი, საესტრადო თუ სხვა ჯგუფები და ნოსტალგიის თეატრი, ადგილობრივი ძალებითაა ჩამოყალიბებული. გართობა-დასვენების სამსახურები, ანუ ის ადგილები, სადაც ტალანტების გამოვლენა ხდება, ჩვენი ინვალიდებისა და მოხუცების სუსტი წერტილია; ისინი გამუდმებით დავობენ, რადგან ვერ ინაწილებენ სარეპეტიციო დროს, მიაჩნიათ, რომ ერთი გუნდი მეორეზე მნიშვნელოვანია, და, რა თქმა უნდა, აქვთ მაღალი ამბიციები.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური მარტივ საქმეებზეა ორიენტირებული; ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, ახლის შეკერვა და ა. შემდეგ, რაც ძირითადად ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან.

ჩვენი სამლოცველოს ოთხივე კედელი და ჭერი შესრულებულია თანამედროვე ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ. ხატწერაში დაცულია მართმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონიკური მოთხოვნა. სამლოცველოში ყოველი კვირის ხუთშაბათს იმართება ლოცვები.

„კათარზისში“ გახსნილია ქალთა თავშესაფარი იმათთვის, ვისაც არსად წასასვლელი არა აქვს. დღეისათვის გვყავს 14 ხანდაზმული. მათი სამჯერადი კვება, საექიმო თუ ყველა სხვა მომსახურება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი სამსახური „კათარზისში“, უფასოა.

პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი:

„წლის ბებია-ბაბუა - 2012“

2012 წლის 5 იანვარს, ტრადიციისამებრ, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიისა“ და „ბაბუის“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2012“ გახდა მაყვალა ბერძენიშვილი, ხოლო „ბაბუა-2012“ - გიორგი შენგელია. კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები.

ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა „კათარზისში“ მოსული ყველა მსურველი მათთვის სპეციალურად მოწყობილ მონიტორებზე.

„სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“, რომელიც „კათარზისმა“ კომპანია „ბი-პისთან“ ერთად დაიწყო. ეს ნიშნავს ყველა იმ ადამიანის დაპურებას, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა. ვცდილობთ, ხმა მივაწვდინოთ ყველას, მაგრამ პირველყოვლისა მიუსაფარ მარტოხელებს, ლტოლვილებს, ე.წ. ქუჩის ბავშვებსა და სოციალურად დაუცველ სხვა ადამიანებს. ამ მიზნით, ღონისძიებიდან 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2012 წლის პირველი ასეთი აქცია ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“. ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა საადგომოდ - 14 აპრილს და საკუთარი ორგანიზაციის დაბადების დღეს - 14 ნოემბერს (თითოეული აქციის ბიუჯეტი შეადგენდა 5394 ლარს).

14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი გახლდათ შპს „ეფორი“, ხოლო 19 იანვარს, „ნათლისღების“ და 28 აგვისტოს, „მარიამობის“ სადღესასწაულო აქციები დააფინანსა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“.

„შეეწიეთ უპოვართ“

მთელი წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა პროექტი „შეეწიეთ უპოვართ“, რომელიც „კათარზისის“ 310 ბენეფიციარისათვის უფასო სადილის დაფინანსებას ითვალისწინებს. ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით სპონსორის სურვილის შესაბამისად (ერთ ადამიანზე ერთი ლარის და 25 თეთრის გათვალისწინებით) ხორციელდებოდა ერთდღიანი (385 ლ.), ორდღიანი (770 ლ.) დ ა. შ. ხანგრძლივობის პროექტები, რამაც მეტად ნოყიერი, კალორიული და გემრიელი გახადა ჩვენი ხანდაზმულების სადილები.

კონცერტები

2012 წელს „კათარზისის“ ხანდაზმულთა ნოსტალგიის თეატრმა დადგა და მაყურებელს შესთავაზა სპექტაკლები: „გამოკეტილი ჭიშკარი“, „ძუნწი“. სპექტაკლებს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები.

კვლავინდებურად ღონისძიებებით აღვნიშნეთ ვალენტინობის, 3, 8 და 31 მარტის („კათარზისის“ დაბადების დღე), აღდგომის, 9 და 26 მაისის და 30 დეკემბრის (წინასაახალწლო) დღესასწაულები.

„კათარზისს“ ეწვივნენ და ჩვენს ბენეფიციარებს საკონცერტო პროგრამები შესთავაზეს თბილისის პირველი საჯარო, მე-8, 131-ე სკოლებმა, რუსთავის მე-10 სკოლის, სულხან ცინცაძის მე-16 ხელოვნების სკოლის და კერძო სკოლა „ოპიზას“ მოსწავლეებმა; ანსამბლმა „თამარიონმა“, ვაჟთა ანსამბლმა გივი წულკიძის ხელმძღვანელობით, კვარტეტმა „სვორტანდო“.

მოეწყო ხანდაზმულთა შეხვედრები პოეტებთან: თინათინ მღვდლიაშვილთან და მიხეილ დანიშაშვილთან.

გაიმართა გასვლითი ღონისძიები (ჩვენი ხანდაზმულების მონაწილეობით) მუხრანის პირველ სკოლაში და საჯარო ბიბლიოთეკაში.

იუბილეები და შეხვედრები

კვლავ განვაგრძობთ ხანდაზმულთათვის იუბილეების აღნიშვნას. ყველა მოხუცს, რომელსაც მრგვალი თარიღი უსრულდება, ვუწყობთ სამახსოვრო საღამოს და ვასაჩუქრებთ ფულადი პრემიით - 100 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, ვმართავთ შეხვედრებს ჩვენს ბენეფიციარებთან. თითოეულ შეხვედრაზე 2-3 მათგანის წარსულს ვეცნობით. ისინი გვიყვებიან თავიანთი წარმომავლობის, ოჯახების, საქმიანობის, ცხოვრებისეულ წარმატებებისა თუ წარუმატებლობის, დღევანდელობის შესახებ.

ტელემარათონი „მეც დავბერდები-2“

2012 წლის 7 აპრილს „კათარზისმა“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან ერთად საზოგადოებას შესთავაზა ტელემარათონი სახელწოდებით „მეც დავბერდები“, რომლის მიზანი იყო ორგანიზაციის შენობაზე ახლადდაშენებული მანსარდის ხანდაზმულთა თავშესაფრად მოწყობა, რომელიც 42 ადამიანზე არის გათვლილი. ღონისძიება მოამზადა კომპანია „თი-ბი-სი თივიმ“. სამწუხაროდ, მომზადებული გადაცემის ხარისხმა, ეთერში გაშვების დრომ და შესაბამისად, არარეიტინგულობამ (5%; სულ შემოვიდა 17019 ზარი) ხარჯების ამოღების შესაძლებლობაც ვერ მოგვცა (დაიხარჯა – 58500 ლარი, შემოვიდა – 38907 ლარი).

უფასო სასადილოს განახლება

„კათარზისის“ უფასო სასადილო საჭიროებდა როგორც გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს, ისე ინვენტარის განახლებას. კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ორგანიზაციამ თავისი ხარჯებით განახორციელა, ხოლო საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა განხორციელდა ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „კათარზისის“ უფასო სასადილოს მოწყობა“ ფარგლებში (პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 16304 ლარს).

დაგეგმილი პროექტები

2012 წელს საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს მუშაობა ორ პროექტზე. ეს არის: ხანდაზმულთათვის კომპიუტერების ოთახის მოწყობა და სპორტული გამაჯანსაღებელ-სარეაბილიტაციო დარბაზის მოწყობა. ორივე პროექტისათვის გამოთავისუფლდა და კოსმეტიკურად შეკეთდა შესაბამისი ფართები და მიმდინარეობს საჭირო ინვენტარის მოძიების პროცესი.

ეკონომიკური საქმიანობა

ერთადერთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართობი.

P.S. ქვემოთ გთავაზობთ 2012 წლის საბუღალტრო დოკუმენტაციას – პროგრამული ანგარიშის მიღებული შემოსავლების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში).

ზაურ-ოლეგ ალადაშვილი,
„კათარზისის“ პრეზიდენტი

ს/კ „კათარზისი“

მოგება და ზარალის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
/თანხები მოცემულია ლარებში/

	2012 წ.
შემოწირულობა	1124068
ამონაგები	46317
საერთო შემოსავალი	1170385
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი ხარჯები	171018
საქველმოქმედო ხარჯები	464922
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	51197
სპონსორების მოზიდვის ხარჯები	188478
სატრანსპორტო და ხაზინის ხარჯი	12087
საბანკო ხარჯი	29537
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	29426
სხვა მოწესრიგებაზე გაწეული ხარჯი	99820
სხვა ხარჯები	5285
მოგება დაბეგვრამდე	142116
საეკლესიადო ხარჯი	6332
მოგება დაბეგვრის შემდეგ	135784
წმინდა მოგება	135784

ს/კ "კათარზისის" პრეზიდენტი /ზ. ალადაშვილი/

შპს "BDO აუდიტი"-ს დირექტორი /ბ. უგრეხელიძე/

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიში ს/კ "კათარზისის" მიერ მიღებული შემოსავლების წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შესახებ 2012წელი

საქველმოქმედო შემოსავლები ფულადი სახით	757,651.32
საქველმოქმედო შემოსავლები პროდუქტების სახით	209,149.45
საქველმოქმედო შემოსავლები მედიკამენტების სახით	132,262.89
საქველმოქმედო შემოსავლები ტანსაცმლების სახით	4,909.08
ადგილობრივი ხელისუფლებიდან შემოსავლები	46,317.04
სხვა საქველმოქმედო შემოსავლები	20,094.94
შემოსავლების ჯამი	**1,170,384.72**
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	171,017.58
პროდუქტების ხარჯი	281,310.60
საბანკო ხარჯი	29,536.89
ჩვილებისკენტების ხარჯი	153,278.34
ტანსაცმლების ხარჯი	2,797.09
მედიკამენტებზე გაცემული ფულადი სახსრები	27,037.13
საეკლესიადო ხარჯი	499.13
სპონსორების მოზიდვის ხარჯი	165,475.51
ელ. ენერგიის ხარჯი	25,693.03
წყლის გადასახადი	1,016.4
ლიტერატურა	681.60
გაზის გადასახადი	4,001.25
საკომუნიკაციო ხარჯი	19,805.21
სატრანსპორტო და ხაზინის ხარჯი	12,086.69
ქირავნობის ხარჯი	58,500.00
სხვა მიმწესრიგებაზე გაწეული ხარჯი	40,819.90
სხვა ხარჯები	34,712.21
ხარჯების ჯამი	**1,028,268.56**

ს/კ "კათარზისის" პრეზიდენტი /ზ. ალადაშვილი/

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გენეტიკა

რას გვეუბნება გენეტიკა ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების წარმოშავლობაზე

ოსები ერთ-ერთი ეთნიკური ტომია, რომელიც კავკასიის ქედის ჩრდილო და სამხრეთ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მეტყველებს ოსურ ენაზე, რომელიც ირანულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, და აქვს გენეტიკური თვისობა მეზობელ კავკასიელ ეთნიკურ ტომებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემური გახდა ჩრდილო და სამხრეთელი ოსების წარმომავლობისა და გენეტიკური მსგავსება-განსხვავების საკითხი.

დღეს ლიტერატურაში არსებობს ორი ჰიპოთეზა: პირველი, ოსები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში განიცდიდნენ ალანების წინაპრების — სარმატების — გავლენას და მეტყველებდნენ ირანული ოჯახის ენაზე (ისფაჰანი, თეირანი). აქედან, სწორედ ალანები უნდა მივიჩნიოთ ოსების წინაპრებად. მეორე ჰიპოთეზის თანახმად, ალანები კავკასიის ავტოქტონური ჯგუფია, რომელმაც შეითვისა ალანური ენა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. არაა გამორიცხული, რომ ადრე ისინი ერთ-ერთ კავკასიურ ენაზე მეტყველებდნენ, რაზეც მიგვანიშნებს პოპულაციების გენეტიკური ანალიზის შედეგები.

XX ს. 90-იანი წლების კლასიკური გენეტიკური მარკერებით (შრატის ცილები, სისხლის ჯგუფები, ერითროციტული ენზიმები) ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ძირძველ მოსახლეობაზე ჩატარებული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან აღნიშნული მაჩვენებელების მიხედვით. ჩრდილოელი ოსები, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან შედარებით, გენეტიკურად დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ ტომებთან, სამხრეთელი ოსები კი, გენეტიკურად ნათესაურ თვისობას ამჟღავნებენ სამხრეთკავკასიელი ეთნიკური ტომების მიმართ, მათ შორის ქართველებთან.

კლასიკური გენეტიკური მარკერების გამოყენებით დამტკიცდა, რომ კავკასიელების მსგავსად, ჩრდილოელი ოსები მაღალ თვისობას ავლენენ რუსული ეთნიკური ტომების მიმართაც.

ამ პრობლემით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა და თანამედროვე გენეტიკური მარკერების გამოყენებით (მიტოქონდრიული დნმ-ის ჰიპერვარიაბელური თანამიმდევრობა — HVI, V ქრომოსომის ბიალელური მარკერი, Y ქრომოსომის მოკლე ტანდემის განმეორება — STR) დაიწყო ფუნდამენტური კვლევები. მეცნიერებმა მიზნად დაისახეს დაედგინათ, თუ რა სახის გენეტიკური მსგავსება არსებობს ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებსა და მათ მეზობელ სამხრეთკავკასიელ ჯგუფებს შორის. როგორც ცნობილია, ჩრდილო ოსეთში წარმოდგენილია ოსების 5 ეთნიკური ჯგუფი (ალაგირი, დიგორა, არდონი, ზამანკული, ზულკა), სამხრეთ კავკასიაში კი — ოსების ერთი ეთნიკური ჯგუფი. ისინი ენობრივად იზოლირებული არიან კავკასიურ ენებზე მეტყველი პოპულაციებისაგან. ოსების ორივე ნაწილი გენეტიკურად განსხვავდება მიტოქონდრიული დნმ-ისა და Y ქრომოსომის მიხედვით. თუ მიტოქონდრიული დნმ გარკვეულწილად მათ მსგავს წარმოშავლობაზე მიგვანიშნებს, Y ქრომოსომის მიხედვით, ჩრდილოელი ოსები, გენეტიკური ნათესაობის მიხედვით გაცილებით ახლოს არიან ჩრდილოკავკასიურ პოპულაციებთან, ვიდრე სამხრეთელ ოსებთან. სამხრეთელი ოსები კი პირიქით, გამოირჩევიან მაღალი თვისობით სამხრეთკავკასიურ პოპულაციებთან.

ამგვარად, კლასიკური გენეტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით დადგინდა, რომ არ არსებობს ბიოლოგიური მტკიცებულება ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების გენეტიკური მსგავსების შესახებ. როგორც ჩანს, წარსულში გეოგრაფიულად მეზობელ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელებში გენების დინამიკა ისე წარიმართა, რომ კავკასიაში პრაქტიკულად ჩამოყალიბდა გენეტიკურად გაუცხოებული ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსური პოპულაციები. საგულისხმოა ისიც, რომ უახლოესი მონაცემებით, ოსებსა და ირანელებს შორის აზოტოვან ფუძეთა შეწყვილების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა, ეს საკმარისი აღმოჩნდა ოსების ირანული წარმომავლობის დასამტკიცებლად. არის მოსაზრება, რომ ოსების მსგავსება კავკასიელებთან განპირობებულია ოსების მიგრაციის შედეგად გენეტიკური ტრანსლოკაციებით კავკასიურ ეთნიკურ ტომებსა და ოსებს შორის, რაზეც მოგვანიშნებს მათ შორის Y ქრომოსომის მსგავსება.

ა. ნასიძე

მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, ლაიფციგი, გერმანია.

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის მოამბიდან

დედამიწის ზურგზე

ჩავესის მემკვიდრემ ბრალი დასდო აშშ-ს გეგმებში, მოეკლათ მისი კონკურენტი და „დაემკვიდრებინათ ძაოსი“

ვენესუელის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას მადურომ განაცხადა იმის შესახებ, რომ მისთვის ცნობილია დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და პენტაგონის გეგმები — გაანადგურონ კანდიდატი ოპოზიციიდან ენრიკე კაპრილესი, რათა შემდეგ ამაში ბრალი დასდონ ვენესუელის ხელისუფლებას. „მათ სურთ ხალხი ზიზღით აღავსონ“ 14 აპრილის არჩევნების წინა პერიოდში, დარწმუნებულია მადურო.

* * *

ბატურინამ ლონდონიდან განმარტა, რომ იგი რუსეთიდან მედვედევმა გამოაძევა

მოსკოვის ექსმერის მეუღლე და „ინტეკოს“ ყოფილი მმართველი ლონდონში რჩება, ვინაიდან არ სურს, რომ მოსკოვში მასზე ზემოქმედება მოახდინონ ოპონენტებმა, რომლებიც ყოფილი პრეზიდენტის „ბრძანებით“ ცდილობენ ჩამოართვან მას ეგრეთ წოდებული „საელჩო მიწები“. ბატურინა ამ კამპანიას „ჩვეულებრივ რეიდერობას“ უწოდებს.

* * *

ჩინეთი პირველად ცივი ომის დამთავრების შემდეგ, შევიდა იარაღის უდიდესი ექსპორტიორების ხუთეულში

დანარჩენი ლიდერების მდგომარეობა არ შეცვლილა. პირველი ადგილი კვლავინდებურად ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია (იარაღის გლობალური ექსპორტის წილის 30 პროცენტი), მეორე ადგილზეა, ისევე როგორც წინა რეიტინგში, რუსეთი (26 პროცენტი), შემდეგ გერმანია (7 პროცენტი) და საფრანგეთი (6 პროცენტი). ჩინეთის წილზე ექსპორტის 5 პროცენტი მოდის.

* * *

აშშ-ში მსუბუქმოტორიანი რეაქტიული თვითმფრინავი საცხოვრებელ სახლს დაეცა: დაიღუპა ორი კაცი

ავიაკატასტროფა ინდიანას შტატში მოხდა. ფრენის დროს თვითმფრინავმა დაკარგა სიმაღლე მექანიკური პრობლემების გამო. დაშვების დროს ის წამოედო სამ საცხოვრებელ სახლს ქალაქ საუტ-ბენდში, ერთ-ერთ მათგანს კი თავზე დაეცა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისია აცხადებს

კ ო ნ კ უ რ ს ს

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, პუბლიცისტიკა, არქიტექტურა.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში 2011-2013 წლებში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, სამეცნიერო და სხვა ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს და წარმოადგენს შენაძენს ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და არქიტექტურის დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია.

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

დ) ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების წარდგენა უნდა მოხდეს დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, მასმედიის საშუალებების მეშვეობით; არქიტექტურის დარგში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა უნდა მოხდეს ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ. მეცნიერების დარგში შექმნილი ნაშრომის საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების ან მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ.

ე) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმეორედ წარდგენა. პრემიის მოსაპოვებლად ავტორის განმეორებით წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ნაწარმოებით (ნაშრომით).

ვ) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭებისას, პრემია ავტორთა შორის ნაწილდება თანაბრად.

კონკურსზე მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.
2. საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.
3. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).
4. ლიტერატურული ნაწარმოები 12 ეგზემპლარად, სამეცნიერო ნაშრომი 12 ეგზემპლარად, სიმფონიური ნაწარმოების პარტიტურა 12 ეგზემპლარად, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები.წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
5. კანდიდატის ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული მასალების მიღების ვადები

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2013 წლის 1 ივნისამდე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთ-დან 17.00 სთ.–მდე.
2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება 2013 წლის 23 ნოემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:

თბილისი, უზნაძის ქ. №68, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო. ტელ: 295-18-49

საკონტაქტო პირი: ია მაისაია, ეკა გადელია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ 17 მარტს გალაკტიონის გარდაცვალების დღე იყო

ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

საბედისწერო 17 მარტი... გალაკტიონის საბედისწერო „გაფრენა“!

„პოეტების მეფემ“ 54 წლის წინათ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თითქოს ეპოქა დასრულდა დიდი, უსაზღვრო და დაუსაბამო... და, იმავდროულად, დაიწყო სხვა ჟამი, ჩვენს სულებში დიდი პოეტის რიალებისა, მარადიული შეკითხვით:

„ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს?“

ფიქრი სიმარტოვესა და ჩამავალ მზეზე აწვალებდა და ტანჯავდა, მისი სულიერი სიმარტოვე მარტის გზნებით აღებეჭდა სულშიც და შემოქმედებაშიც. მისმა „გაფრენამ“ პოეზიას ახალი სიცოცხლე და ძალა შთაბერა, საოცარი რიტმი, ფერადოვნება და მუსიკალურობა შესძინა.

ის მოდიოდა მარტის არეული მირაჟიდან და მარტისავე მდინარებაში გადაეშვა...

„რა უბოლოო, რა დიდ და ღრმა მწუხარებასა და მარტოობას განვიცდი.“

„ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი. ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა...“ საშინლად მომწყინდა ყველაფერი, დიდი ხნიდან დავეძებ ამ სიკვდილს, მაგრამ არ მოდის. თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს“... დღიურის იდუმალება დღეს უფრო მეტად იდუმალდება, და გვახსენდება მისი სტუდენტობა, როცა თბილისის სასულიერო სემინარიის 18 წლის სტუდენტმა კარბოლმჟავა დალია, თუმცა, დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს...

ის მოდიოდა მარტის არეული მირაჟიდან... მზისფერი ნარცისებითა და ბობოქარი ქარების ხმებით... წლების ქარტეხილები მოჰქონდა მხრებით და ვერ ღუნავდა, თუმცა, ფიზიკურ და სულიერ ძალებს მაინც ართმევდა. სადღაც შორს, ორიოლის ტყეში, საძმო სამარეში განისვენებდა მისი ოლოლი – ოლია ოკუჯავა, ვისიც ყველაზე მეტად სჯეროდა და ენატრებოდა... კარის მეხოტბეთა მარათონში დიდი სიმარტოვისთვის გაეწირათ „მარტოობის ორდენის კავალერი“, დარდებს ღვინის თასებსა და უძირო ღამეებს რომ ანდობდა!... ტრაგიკულ კოშმარად ქცეულიყო ყოველი დღე!... და ამ კოშმარისთვის წერტილის დასმის დროც მოვიდა.

„ყველა ფიქრობს, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა. მინდა, გითხრათ, არავის უყვარდა სიცოცხლე ისე, როგორც გალაკტიონს. გადასტომის წინ, გალაკტიონი იხდის ხალათს და დებს ფანჯრის რაფაზე, ლოგიკურად იბადება კითხვა: რატომ არ გადასტა ხალათით? მე ამის ჩემებური ახსნა მაქვს. ამ დროს მას ქვემოთ ესახება ზღვა, იხდის და უნდა, რომ შეცურდეს ზღვაში. გალაკტიონს თავი არ მოუკლავს. ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა“, – აცხადებს პოეტის ძმისწული ნოდარ ტაბიძე.

„ზღვა იყო გალაკტიონის თანამოსაუბრე, მისი პოეტური ხილვების სტიქია: ახალი იდეალებით შთაბერილი იალქნების ასპარეზიც და, იმავდროულად, ყმაწვილური ილუზიებით აკიაფებული სანთლების სამარეც.“ ამ ზღვის ტალღას მიაპობდა „დალანდის“ ქიმი, ხოლო ქვიშას აჩნდა მერის ნაკვალევი.ალბათ ამიტომაც, გალაკტიონის ერთ-ერთი შედევრი სწორედ წარმოსახული ზღვის პირისპირ წარმოითქვა.

არის ერთი წამი მზის ჩასვლისას, როდესაც მეწამული დისკო შეჩერდება ორ სტიქიას შორის, თითქოს ზღვისა თუ მიწის მიღმა გაუჩინარება უძნელდებოდეს, თითქოს გრძნობდეს, რომ ასე დამცხრალი და ელვარებადაკარგული მისთვის უცხო სილამაზეს იძენს...“ – თითქმის იმავეს იმეორებს ბატონი ზაზა აბზიანიძეც. გალაკტიონს მთელი ცხოვრება არ ასვენებდა წარმოსახული ზღვა, **„ქარი დაცხრა სიბობოქრის, შავი ზღვიდან სიო მოჰქრის“...** და თავადაც ამ სიოს გაჰყვა...

და ის ადგილი, საიდანაც „ზღვაში გადაეშვა“ დიდი პოეტი, დღეს, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. მე და პოეტ თამარ ლომიძეს 17 მარტს რატომღაც მოგვინდა იმ ადგილის ხილვა, სადაც ე. წ. „ლეჩკომბინატის“ შენობა მდებარეობს, და საიდანაც გალაკტიონი „გადმოფრინდა“... სიკვდილშიც კი გვაჯობაო, უთქვამს მაშინ სიმონ ჩიქოვანს. და იქნებ სიკვდილსაც აჯობა?...

ადგილზე მისულთ დანგრეული შენობა და ერთიანად მოსწორებული მიწა დაგვხვდა... ველარ ვიხილეთ ის ფანჯარა, პოეტის უკანასკნელი გაელვების მოწმე... ეს ადგილი ვიღაც ფულიანს შეუსყიდია და საცხოვრებელი სახლის აშენება იგეგმებაო, გავიგეთ.

„1959 წლის 17 მარტს აქ ტრაგიკულად დაიღუპა გალაკტიონ ტაბიძე“ – ეს მწვანე მარმარილოს ქვა კი ეზოს სიღრმეში, მტვერსა და ნაგავში ვიპოვეთ და სურათიც გადავუღეთ. მაშინ, როდესაც თუნდაც გერმანიაში გოეთეს ყოველ ნაბიჯსა და ნატერფალს სასოებით უფრთხილდებიან, იმ ადგილებს არამცთუ ანგრევენ, არც კი ცვლიან, ჩვენ, პირიქით, ვაქრობთ ძვირფას ნაკვალევს და ისტორიულ შენობას კი ვანგრევთ!

გამოსავალი, ალბათ, ერთადერთია, დანგრეულს ველარ აღვადგენთ და... იქნებ ის მაინც შევძლოთ, რომ ეს მარმარილოს ქვა გადავარჩინოთ და ახალი შენობის აგების შემდეგ ეზოში დავდგათ!... იქნებ ასე მაინც გადავარჩინოთ ამ ადგილის ხსოვნა და დიდი პოეტის უკანასკნელი გაელვება!

თამარ შაიშმელაშვილი

სურათზე: ასე გამოიყურება „ლეჩკომბინატის“ ეზო; მარმარილოს ქვა.

ავტორის ფოტო

◎ უშედეგო ბრძოლა

მძიმე მემკვიდრეობა შეხვდა ხელისუფლებაში მოსულ ნაციონალურ მოძრაობას კრიმინოგენური ვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნარკომანიისა და ნარკობიზნესის კუთხით. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სამართალდამცავებმა (ძირითადად შსს-მ) პრიორიტეტად ნარკოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აირჩიეს. საერთოდ სისხლის სამართლის დანაშაულის გამოვლენა ამ კუთხით დიდად არის დამოკიდებული ოპერატიული თანამშრომლების ინფორმაციების ფლობაზე, რადგანაც ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გაუხსნელი საქმეები არ არსებობს, უბრალოდ არსებობენ გამოუვლენელი ფაქტები.

მძიმე სენთან ბრძოლის პირველსავე ეტაპზე ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება ებრძოდა შედეგს და არა მიზეზს, ანუ აკავებდნენ მომხმარებლებს და არა რეალიზატორებს. იმის გამო, რომ ჩვენში ქარხნული წესით დამზადებული ნარკოტიკები არ იწარმოება, ისევე როგორც მცენარეული ნარკოტიკული თრობის მომგვრელები, ცხადი ხდებოდა, რომ ეს საშინელება საქართველოს საზღვრებს გარედან შემოდიოდა. საჭირო იყო შემოტანის პირველი წყაროს გადაკეტვა. თუმცა, ახალგაზრდა ხელისუფლებამ ეს ან ვერ, ან არ შეძლო. ნარკობიზნესი და ნარკომანია კი სულ უფრო და უფრო იფურჩქნებოდა. მოსახლეობა და ნარკოლოგები განგაშს ტეხდნენ. ნარკომანთა რიგებს ქალებიც და არასრულწლოვანებიც ავსებდნენ.

მდგომარეობის ოდნავ მაინც განსამუხტავად, ხელისუფლებამ პიარს მიმართა. ტელეეთერებში დაიწყო ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღების ჩვენება. ბოლოს იქამდეც მივიდნენ, რომ მაშინდელმა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სვანეთის ტყეებში დაკრეფილი ორი სატვირთო მანქანა „კანაფი“ სამინისტროს ეზოში მიიტანა და ჟურნალისტების თანდასწრებით დაწვა. გამოუცდელ მინისტრს სპეციალისტებისათვის რომ ეკითხა, აუხსნიდნენ – კანაფისა და მის მსგავსთა თესლს აქვს საინკუბაციო 3-5 წელი. ე. ი. ნიადაგში ჩავარდნილი ამ ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიცოცხლის უნარიანობას და ნებისმიერ დროს (სეზონის მიხედვით) მოგვცემს ნაყოფს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნიადაგის დამუშავება, ხშირად მიწის ფენების მოხსნა და ა. შ. ნათესების ამოთხრა-დაწვა კი ერთჯერადი ღონისძიებაა და ამით ვერც ნარკოტიკი მოისპობა და ვერც ნარკომანია.

ქვეყანაში ნარკოტიკების დაუბრკოლებლად შემოტანას ხელს უწყობდა საზღვრების დაუცველობაც და, რაც მთავარია, სამართალდამცავთა მაღალი ეშელონების ალიანსი ნარკოლიდერებთან. ხელისუფლებამ გადაწყვიტა პრობლემების კანონის გამკაცრებით მოგვარება. საქმეს ვერც ამან უშველა. ოფიციალური მონაცემებით ნარკოტიკის სისტემატურად და ერთჯერადად მომხმარებელთა რიცხვმა 130 ათასს გადააჭარბა, არაოფიციალური, სპეციალისტთა და ექიმ-ნარკოლოგთა მონაცემებით – კი 250 ათასს. ნარკომანთა გაახალგაზრდავების ტენდენციაც აშკარა იყო.

სწორედ შექმნილი ვითარების გამო, ახლადდანიშნულმა შსს-სა და უშიშროების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოსახლეობას დახმარებისთვის მიმართა. მან საზოგადოებას შესთავაზა სამართალდამცავებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ნარკომომხმარებლების, ნარკომანთა თავშეყრის ადგილების (ბუდეების) და ნარკორეალიზატორთა შესახებ, ინფორმატორს ანონიმურობის დაცვით ათასლარიანი პრემიაც მიეცემოდა. გავიდა წელი და საკითხზე მომუშავე ჟურნალისტებმა ვერ მოიპოვეს ინფორმაცია არა თუ კონკრეტულ პირებზე, არამედ ინფორმატორთა რაოდენობასა და გაცემული პრემიების თაობაზე. შსს-ში ეს გასაიდუმლოებული რჩებოდა.

მაშინ მერაბიშვილის უწყებამ დაიწყო ნარკოდანაშაულზე ნასამართლევ ან „შავ სამყაროსთან“ შეხების მქონე პირებზე ნადირობა. აბსურდული ბრალდებებით ზოგს აკავებდნენ, უმეტესობას ფულად ჯარიმებს ადებდნენ. სპეციალისტები ინფორმატორების ინსტიტუტის ჩავარდნის ძირითად მიზეზად მიიჩნევდნენ უნდობლობას სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის, რადგანაც არსებობდა უამრავი მაგალითი პოლიციელებისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულთა შორის კავშირებისა.

შს მინისტრის განცხადება იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საქართველო რამდენიმეჯერ კინაღამ გაეხვია ნარკოსკანდალში. ჩვენი ტერიტორიის გავლით ჩატანილი „ჰეროინის“ დიდი პარტიები დააკავეს თურქეთში, გერმანიაში და სხვაგან. ევროპულმა სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, არასამთავრობოებმა ქვეყნის ხელისუფლებას შეახსენეს ნარკოტიკების ტრანზიტის აღსაკვეთად გამოყოფილი ასეულ ათასობით დოლარისა და მიცემული პირობების შესახებ. საქართველო ევრაზიის საავტომობილო დერეფნის მაგივრად ნარკოტიკების ტრანზიტი ქვეყნის სტატუსს იმკვიდრებდა.

ხელისუფლება დაფაცურდა. სასწრაფო ღონისძიებების გატარება დაიწყო. ამავე დროს, არ დავიწყნიათ პირადი ინტერესებიც. დიდი ბრძოლა გამოუცხადეს ქვეყნის გარედან შემომავალ მძიმე ნარკოტიკებს (ოპიუმის შემცველებს). ამავე დროს უპრეცედენტო ცვლილება შეიტანეს კანონმდებლობაში. საქართველოს ხელი მოწერილი აქვს გაეროს კონვენციაზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალის შესახებ, სადაც „სუბოტექსი“ არ არის შეყვანილი ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ პრეპარატთა ძირითად კალათში. ჩვენმა პარლამენტმა კი გაეროს შესაბამის კომისიასთან შეუთანხმებლად, ის ამ ჩამონათვალში მოაქცია და დაიწყო დაჭერები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა შსს-ს ყოფილმა ოპერატიულმა თანამშრომელმა უშანგ შველიძემ – მერაბიშვილს მოსახლეობისადმი მიმართვით რეალური დახმარების სურვილი კი არ გამოუთქვამს, არამედ მან მოსინჯა სიტუაცია, რამდენად მყარია მისი რეალიზატორების მდგომარეობა და ცნობილია თუ არა მოსახლეობისთვის მათი ვინაობა. ახლა ხომ მხოლოდ შსს-სგან ხელდასხმული „ბარიგები“ ვაჭრობენ. მომხმარებელს იჭერენ, აჯარიმებენ, ციხეში უშვებენ. ჩამორთმეული აბები ისევ რეალიზატორებს უბრუნდებათ და ა. შ. – აგვიხსნა შველიძემ.

ყოფილმა ხელისუფლებამ „სუბო“-ზეც აიღო ხელი. უფრო ფართო ბიზნესში ჩართო. „სუბოტექსის“ შემოტანა ფაქტობრივად შეწყდა. სამაგიეროდ, ფრთები გაშალა „სააფთიაქო ნარკომანიამ“. „ნარკოტიკულ შიმშილში“ ჩავარდნილნი აფთიაქებს მიაწყნდნენ. ყიდულობენ ურეცეპტოდ ხელმისაწვდომ ფსიქოტროპულ პრეპარატებს. პოზიციები გაიმყარეს „ჯეფმა“ და „ვინტმა“. სამართალდამცავები პირდაპირ ფსიქოტროპული აფთიაქიდან გამოსულთ აკავებენ, აჯარიმებენ. მათ გამყიდველ ფარმაცევტებს კი არაფერს ეუბნებიან. კუსტარული „ნარკოტიკული თრობისგან“ არაერთი ახალგაზრდა დაიღუპა. მრავალი დაინვალიდდა. ექიმი-ნარკოლოგების ზაფხულში გაკეთებული პროგნოზით, ქვეყანაში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა, კარგა ხანია, 350 ათასს გადააჭარბა.

თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, ნარკომანიასა და ნარკოტიზმს ვერ აღმოვფხვრით

ექიმი-ნარკოლოგები კიდევ ერთი საშიშროების შესახებაც ალაპარაკდნენ – ეს არის ტოქსიკომანია. დაბალი კლასის მოსწავლეები ყნოსავენ წებოს, ფეხსაცმლის საცხს და ა. შ. ექიმებს ეთანხმებიან ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. მათი გადმოცემით იმატა მშობელთა რიცხვმა, რომელთაც მათთან მოჰყავთ მეხსიერებაგაფანტულნი, გონებადაქვეითებულნი, ფსიქიკური გადახრების მქონე არასრულწლოვანები. მათთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებლები არიან თანაკლასელებთან, თანატოლებთან ერთად და არც თუ იშვიათად.

ნარკომანთა მკურნალობა საკმაოდ დიდი თანხებით, თანაც, არაერთგზის დააფინანსეს საერთაშორისო ანტინარკოტიკულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ „ნაცების“ ხელში თანხები დანიშნულებისამებრ არ მიდიოდა. არსებული კერძო კლინიკა ბევრია. ამ სენით დაავადებულთა უმეტესობას ამაზე ხელი არ მიუწვდება. ვისაც აქვს შესაძლებლობა, მასაც უჭირს სამკურნალოში მოხვედრა საწოლების სიმცირის გამო. წინა ხელისუფლების გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პირობებში ნარკოტიკების მომხმარებელთაგან აკრეფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. მათ განკურნებაზე არავინ ფიქრობდა. საპატიმრო ადგილებში კი უყოყმანოდ აგზავნიდნენ. სპეციალისტთა დაანგარიშებით, ნარკოტიკის მოხმარებისათვის დაკავებულის ერთი წლით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში შენახვა იმდენი ჯდება, რამდენიც სამი მომხმარებლის მკურნალობა.

ყოფილმა ხელისუფლებამ რევანშის გზა აირჩია. ეს ნარკომანიის კუთხითაც შეიმჩნევა. ქვეყანაში საგრძნობლად იმატა მძიმე ნარკოტიკების შემოდინებამ. ახალი მთავრობა ჯერჯერობით ვერ ახერხებს იმ არხების თავიდან გადაკეტვას, რაც „ნაცებმა“ გახსნეს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საბაზრო ფასები – „სუბოტექსი“, „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მარიხუანა“ და ა. შ. შავ ბაზარზე ათწლეულთან შედარებით, გაცილებით იაფია.

ზაზა ბილიხოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წინ, საქართველო!

„ბორჯღალოსანთა“ მეექვსე ევროპული აღზევება

რუმინეთი-საქართველო 9:9.

საქართველო: ხმალაძე, მჭედლიძე, ზიბზიბაძე, შარიქაძე (კაჭარავა), მაჩხანელი, კვირიკაშვილი, ბეგაძე (ხუციშვილი). კაკოვინი (ჟვანია), ბრეგვაძე (ნატრიაშვილი), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი), ჩხაიძე (დათუნაშვილი), მიქაუტაძე (სუთიაშვილი), კოლეელიშვილი, გორგოძე, ბასილაია.

3 საჯარიმო: კვირიკაშვილი.

ევროპის ერთა თასის 2013 წლის გათამაშების ბოლო ტურში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გასვლითი მატჩი ბუქარესტში გამართა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ბორჯღალოსნებს“ ფრეც ხელს აძლევდა. კარპატელებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ – საქართველოსთან სამმატჩიანი წარუმატებელი სერია შეეწყვიტათ და, საკუთარი მაყურებლების თვალწინ რეაბილიტაციის მიზნით, ევროპის ერთა თასთან ერთად ტრადიციული ანთიმოზ ივერიელის თასისთვისაც ბუქარესტში მიეჩინათ ბინა. ამიტომაც მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო, მაგრამ ანგარიში ჩვენმა გუნდმა გახსნა – მე-8 წუთზე რუმინელები დაჯარიმდნენ და კვირიკაშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა – 3:0. ორიოდე წუთში საქართველოს ნაკრებმა ლელოს გატანის რეალური შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, 22-ე წუთზე ვლაიკუმ ჯარიმითვე წონასწორობა აღადგინა. შესვენებამდე ფულბეკებმა საკუთარ გუნდებს კიდევ 3-3 ქულა შესძინეს. მეორე ტაიმშიც ორთაბრძოლა მსგავსი სცენარით წარიმართა და მატჩიც ფრედ – 9:9 დამთავრდა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხელს აძლევდა ქართველებს, რადგან ჩვენებურებმა წლეულს თასის გათამაშებაში მეტი ლელო გაიტანეს და ბურთების სხვაობაც უკეთესი აქვთ. გაისად „ბორჯღალოსნები“ უმასპინძლებენ კარპატელებს, რაც ორი სეზონის ჯამში პირველ-მეორე ადგილებზე გასვლის რეალობასა და მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვედრის შანსს ერიორად ზრდის. ანთიმოზ ივერიელის თასიც კიდევ ერთი წლით საქართველოს დედაქალაქში დაივანებს.

ერთა თასის მე-5 ტურში ასევე დაზავდნენ ესპანეთი და პორტუგალია - 9:9, ხოლო რუსებმა შინ ბელგიელებს აჯობეს - 43:32.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1. საქართველო	5	4	1	0	+74	19
2. რუმინეთი	5	4	1	0	+49	19
3. რუსეთი	5	3	0	2	-6	14
4. პორტუგალია	5	1	1	3	-21	7
5. ბელგია	5	0	1	4	-39	5
6. ესპანეთი	5	0	2	3	-57	5

* * *

გასულ უქმეებზე ელიტური – ექვსი ერის ჩემპიონატიც დასრულდა.

დასკვნით ტურში უელსმა შინ ინგლისი გააცამტვერა – 30:3 და სიმბოლური თასი შეინარჩუნა. მან პრინციპული მეტოქე ბურთების უკეთესი შეფარდებით ჩამოიტოვა.

იტალია – ირლანდია 22:15, საფრანგეთი – შოტლანდია 23:9.

საბოლოო მდგომარეობა: უელსი, ინგლისი – 8-8, ირლანდია – 5, იტალია – 4, საფრანგეთი – 3, შოტლანდია – 2 ქულა.

ვაჟა ნოსირელი

◎ ფეხბურთი

წვიმა ჩვენი მღელვარებისა

ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის XXIV ტურში თბილისის „დინამომ“ უმთავრეს კონკურენტ გორის „დილას“ უმასპინძლა. სამწუხაროდ, კოკისპირულმა წვიმამ მეტოქეებს პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა, თუმცა ერთადერთი კომპონენტი, რის დეფიციტსაც გუნდები ასეთ წარღვნაშიც კი არ განიცდიდნენ, ბრძოლისუნარიანობა გახლდათ.

ასე რომ, კვალიფიციურად გარჯილი ახალგაზრდა მსაჯის თორნიკე გვანცელაძის საფინალო სასტვენის შემდეგ დაფიქსირებული შედეგი – 0:0 ლოგიკურად შეგვიძლია მივიჩნიოთ. დავძენთ, რომ რამდენჯერმე როგორც ლორიას, ისე შეყრილაძის კართან ისეთი მომენტები შეიქმნა, როცა საეჭვო პენალტის დანიშვნით მონასტერი აირეოდა, მაგრამ პერსპექტიული შაოსანი კარგად გაერკვა სიტუაციებში და ამიტომაც დაიმსახურა დადებითი შეფასება.

დანარჩენი შედეგები: I-VI ადგილები: „ბაია“ – „ჩიხურა“ 1:3, „ზესტაფონი“ – „ტორპედო“ 0:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 56, „დილა“ – 53, „ტორპედო“, „ჩიხურა“ – 47-47, „ზესტაფონი“ – 38, „ბაია“ – 35 ქულა.

VII-XII ადგილები: „კოლხეთი“ – „სიონი“ 2:1 (ეს ფოთელთა პირველი გამარჯვებაა), „მეტალურგი“ – „მერანი“ 1:1, „ბათუმი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:0.

სატურნირო მდგომარეობა: „მეტალურგი“ – 35, „მერანი“ – 24, „ვიტ ჯორჯია“ – 22, „სიონი“ – 21, „ბათუმი“ – 19, „კოლხეთი“ – 7 ქულა.

* * *

იტალია. „ბოლონია“ – „იუვენტუსი“ 0:2, „ნაპოლი“ – „ატალანტა“ 3:2, „მილანი“ – „პალერმო“ 2:0.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „რაიო ვალეკანო“ 3:1, „რეალი“ – „მალიორკა“ 5:2, „ოსასუნა“ – „ატლეტიკო“ 2:0.

ინგლისი. „მანჩესტერი“ – „რედინგი“ 1:0, „ევერტონი“ – „სიტი“ 2:0, „ჩელსი“ – „ვესტ ჰემი“ 2:0.

გერმანია. „ლევერკუზენი“ – „ბაიერნი“ 1:2, „ბორუსია“ – „ფრაიბურგი“ 5:1, „გლადბახი“ – „ჰანოვერი“ 1:0.

საფრანგეთი. „სანტ ეტიენი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:2, „ბასტია“ – „ლიონი“ 4:1, „მარსელი“ – „აიაჩო“ 0:0.

ჰოლანდია. „ეინდჰოვენი“ – „ვალვაიკი“ 2:0, „ალკმაარი“ – „აიაქსი“ 2:3, „ფეიენოორდი“ – „უტრეხტი“ 2:1, „დენ ჰააგი“ – „ვიტესი“ 0:4.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

ევროპის თასი – ჯანაშვილს

კვარცხლბეკისკენ ქართველი გოგონებიც იკვალავენ გზას

თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში დამთავრდა კადეტ ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) იყოჩაღა: პირველ წრეში რუს ელიზავეტა სტეფანოვას ვაზარით, შემდეგ ბრაზილიელ ლაიანა კოლმანს აჯობა იპონით, ნახევარფინალში თანაგუნდელ გურანდა შოთაძეს სძლია და გადამწყვეტ პაექრობაში ბელარუს ულიანა მინენკოვას დაუპირისპირდა. ქართველმა ძიუდოისტმა ჯერ იუკო აართვა მეტოქეს, შემდეგ კი ელვისებური ფანდით ბეჭებით გააკრა ტატამს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბრინჯაოს მოპოვების შანსი ვერ გამოიყენა შოთაძემ – რუს სოფია ჩისტანოვასთან წააგო და მე-5 ადგილს დასჯერდა, არადა, შარშან ჯანაშვილიცა და შოთაძეც ანთალიის ტურნირზე მესამენი იყვნენ, ხოლო შარშანწინ მარიამმა თურქული ტურნირი მოიგო.

ვაჟებში სიმონ მამარდაშვილმა (66 კგ) სტარტზე სერბ იანკო ვულოვიჩს იუკოთი სძლია, მერე თურქები – დენიზან ცალისკანი და რეჯეფ კილინცი იპონებით დაჯაბნა, რუს ისმაილ ჩასიგოვთან იუკოთი გაიმარჯვა, მის თანამემამულე სამველ ჩაკრასთან ფინალი მინიმალური სხვაობით დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე მეორე ადგილზე გავიდა გიორგი გველესიანი (90). ნახევარფინალში მან თანაგუნდელი მიხეილ ჟორჟოლიანი დაამარცხა, თუმცა გადამწყვეტ პაექრობაში რუს კარლენ პალიანთან ვერაფერს გახდა.

ჟორჟოლიანთან ერთად მზია ბებოშვილი (48), ბაჩანა ჭიკაიძე (60), ბექა შერაზადაშვილი (73), და დავით რაზმაძე (90) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

შაფათავას შაბათური ვერცხლი

თბილისელი ჩოგბურთელი სოფიო შაფათავა ანთალიაში გამართული ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგს მეოთხედფინალში გა-

მოეთიშა, ხოლო წყვილებში უკრაინელ ალიონა ფომინასთან ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი და ფინალში გავიდა, სადაც პირველ ნომრად განთესილ ამერიკელებს – ანამიკა ბჰარგავას და ნიკოლ მელიჩარს დაუპირისპირდა. პირველი სეტი ინტერნაციონალურმა დუეტმა 7:6 მოიგო, მომდევნო ორი ხელი კი ოკენისგაღმელებს დაუთმო – 3:6, 8:10 და მეორე ადგილს დასჯერდა.

ანთალიაში დღესვე დაიწყება ახალი 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომლის ძირითად ბადეში, ალბათ, სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა და ეკატერინე გორგოძე ითამაშებენ.

გივი გაგუა

ისევ ის რაფაა...

რაფაელ ნადალი მუხლის ტრავმისა და გაჭიანურებული მკურნალობის შემდეგ კორტს ახლახან დაუბრუნდა. და მერე როგორ!

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მაშინვე ზედიზედ ორი ნაკლებადპრესტიჟული ტურნირის ფინალში გავიდა, საიდანაც ერთი მოიგო, ამ დღეებში კი ინდიან-უელსის საკმაოდ წონიანი ასპარეზობის გამარჯვებული გახდა.

მალიორკის მკვიდრმა მეოთხედფინალში ყველაზე უხერხული მეტოქე როჯერ ფედერერი დაჯაბნა, ნახევარფინალში – ტომაშ ბერდიხი, ხოლო სატიტულო ბრძოლაში ხუან მარტინ დელ პოტროს დააყრევინა ფარ-ხმალი, რომელმაც, თავის მხრივ, ენდი მიურეი და ნოვაკ ჯოკოვიჩი იმსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ რაფამ მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ორი პარტია დათმო.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, მთავარი პრიზი მარია შარაპოვას ხვდა, ვინც ფინალში კაროლინა ვოზნიაცკი დაჯაბნა. საერთაშორისო რეიტინგის ლიდერი ვიქტორია აზარენკა სერენა უილიამსის არყოფნაში მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ტრავმამ დააღალატა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

„ოლიმპიკმა“ უმასპინძლა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ 2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის სამი ტურის შეხვედრები გაიმართა. შეჯიბრებაში 9 გუნდი ჩაება, რომლებიც ორ ჯგუფში არიან განთესილი:

A ჯგუფი. „ივერია“ (თბილისი), „ლიგამუსი-2“, „ბათუმი“, „ივერია“ (საჩხერე) და „აკადემია“.

B ჯგუფი. „ლიგამუსი-1“, „ქუთაისი“, „თბილისი“, „რუსთავი“.

გაუწყებთ გასულ უქმეებზე გამართული პაექრობების შედეგებს:

I ტური. „ლიგამუსი-2“ – „ივერია“ (საჩხერე) 4:10, „ქუთაისი“ – „რუსთავი“ 22:0, „ბათუმი“ – „აკადემია“ 14:3.

II ტური. „ლიგამუსი-1“ – „რუსთავი“ 19:6, „ლიგამუსი-2“ – „ბათუმი“ 4:4, „ქუთაისი“ – „თბილისი“ 19:0, „ივერია“ (თბილისი) – „ივერია“ (საჩხერე) 4:8.

III ტური. „ივერია“ (თბილისი) – „ბათუმი“ 5:6, „ლიგამუსი-1“ – „თბილისი“ 6:6, „ლიგამუსი-2“ – „აკადემია“ 17:8.

მომდევნო პარასკევ-შაბათს IV-V ტურების შეხვედრები გაიმართება.

ლაშა დიდია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ენდეთ ავტობუსის მგზავრებს, ბატონო გიგი!

ამ ცოტა ხნის წინათ, უცხოურ პრესაზე დაყრდნობით, ჩვენს გაზეთში ვწერდით, ტალინში და ესტონეთის კიდევ რამდენიმე ქალაქში, ავტობუსებით მგზავრობა უფასო რომ გამხდარა, ვამბობდით იმასაც, რომ უფასოს ვიღა ჩივის, ჩვენთან, კერძოდ კი თბილისში ავტობუსით გადაადგილება მონიტორინგის სამსახურის მეთვალყურეობით გვიხდება, რაც, ხშირად, ერთობ უხერხულ სიტუაციას ქმნის.

რა ვქნათ, ვერა და ვერ ამაღლდა ეს ჩვენი შეგნება, რომ ტრანსპორტში ასვლისას სამგზავრო ბილეთია ასაღები, ამიტომ, თქვენ გიტირებთ ყოფასო, და უკვე რამდენიმე წელია, თბილისის მერიამ აამოქმედა მონიტორინგის სამსახური, რომელიც, როგორც ვიცით, გულდაგულ ამოწმებს ავტობუსის მგზავრებს, აღებული აქვთ თუ არა ბილეთი, ეს პროცესი კი, ხშირად იწვევს უსიამოვნებას მგზავრებსა და შემმოწმებლებს შორის.

პატივცემულო მერიავ, ბატონო გიგი, იმედია, გაიგებდით, რა საგანგაშო ფაქტი მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ავტობუსში. შელაპარაკების ნიადაგზე მგზავრმა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი დაჭრა. ჰოდა, სანამ თავი არ მოგვჭრია საერთოდ, ამ ევროპისკენ მზერამიპყრობილ ქვეყანას, იქნებ, გარისკოთ და გამოუცხადოთ ნდობა თბილისელ მოქალაქეებს (რომელთაგან, მესამედს მაინც, ისედაც, „მუდმივი სამგზავრო“ აქვს) და მოაცილოთ მონიტორინგის თანამშრომლები (დაასაქმეთ, ბატონო, ისინი, სხვაგან), რომელთა დანახვა უკვე აუტანელი გახდა თბილისელთათვის. გამოუცხადეთ ნდობა თანამოქალაქეებს და თუ ზოგიერთი მაინც იმგზავრებს უბილეთოდ, (ან სტუდენტი, ან მოხუცი), ვითომ, ქვეყანა დაიქცევა?!. ესტონეთში სულ გაუქმდაო!.. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ჩვენ კი როგორც გვიჭირდეს, ისე გვიღირდეს, დავიჯეროთ, გაანადგურებს თბილისის ბიუჯეტს ზოგიერთი „შეუგნებლის“, მაგრამ მაინც ჩვენი თანამოძმის, თანაქალაქელის უბილეთოდ მგზავრობა?!. დამიჯერეთ, თანდათან, ისეც მოწესრიგდება, თბილისელთა თავმოყვარეობა კი აღარ შეილახება მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა მბრძანებლური კილოს გამო: **„გავამზადოთ ბილეთები!“**

ყურმოკრული — ოპერის წინ

რუსთაველის გამზირზე, საოპერო თეატრის შენობის მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსის გაჩერებასთან რამდენიმე ახალგაზრდა დგას და აღტაცებით შესცქერის თეატრის ახალშეღებილ შენობას.

– ვა, როგორ მოხდენია განახლება, რა დიდებულად წამომართულა... ჩუქურთმები ნახეთ, ჩუქურთმები!..

– ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შიგნით... რომ დამთავრდება, მერე იქნება, რაც იქნება!.. აქედან ერთ საუკუნეს, ხელის ხლება არ უნდაო!..

– თუ ძმა ხარ, შემახსენე ერთი, იტალიელია ხომ ამ შენობის არქიტექტორი?!.

– მაშ, ანტონიო სკუდიუსი... ისე, აშენებას, ვორონცოვს უნდა ვუმადლოდეთ, გონიერ მთავარმართებელს!

– ამ რემონტს ვის უნდა ვუმადლოდეთ?!.. – ორაზროვნად კითხულობს ერთ-ერთი წვეროსანი.

– ამასაც „უცხოელს“ – ივანიშვილს – საფრანგეთის მოქალაქეს უნდა ვუმადლოდეთ!.. რატომ ღმერთი არ გაიცინებს!..

შორიდან სამების ზარების გუგუნი ისმის, ახალგაზრდები პირჯვარს იწერენ.

– ამ ზარების ხმასაც საფრანგეთის მოქალაქეს უნდა ვუმადლოდეთ, არა?!.

– მაშ... „საქართველო არის ესე“, ძმაო... შენ ახალი მითხარი რამე!..

თქვენ ნიჭი მითხარით...

ფორმის თვალსაზრისით, დღეს ხომ, თითქოსდა, ყველაფერი თქმულია, დღეს ხომ, თითქოსდა, ყველაფერი გადაჭრილია ჟურნალისტიკაში და, მეტადრე, ტელემედიაში... აბა, ნაირ-ნაირი ტელეშოუებია, აბა, ტელერეპორტაჟებია, აბა, ტელეინტერვიუებია... უმეტესწილად (სად დამალავ), უცხოეთიდან „ნათაქები“ ზოგჯერ საკუთარი ნაფიქრალ-ნააზრევი... რაც მთავარია, ყველაფერი მიდის რიხინ-რიხინით...

ჰოდა, ასეთ სიტუაციაში, როდესაც ძალიან ძნელია საკუთარი ხელნაწერის პოვნა, აგერ, ბატონო, **მედია-კავშირ „ობიექტივში“,** ისეთი ორიგინალური ჩანახატები ცოცხლდება ტელეეკრანზე, თქვენი მოწონებული. **„ქართული კლასიკა უკვდავია“** – ასეთი საერთო რუბრიკა აქვთ ამ ჩანახატებს და ჩვენს თვალწინ სულ რამდენიმე წამით გვახსენებენ თავს ერის სათაყვანო ადამიანები ქართული ლიტერატურის, ხელოვნების კორიფეები, თვალსაჩინო მოღვაწენი...

მაგალითად, შაბათ-კვირას, კინაღამ ვეღარ მოვწყდი „ობიექტივს“, ერთმანეთს ცვლიდნენ მრავალჯერ ნანახ-მოსმენილი, მაგრამ კვლავაც და კვლავაც სასიამოვნო – რევაზ ლაღიძის, გია ყანჩელის, ალექსანდრე ბასილაიას, ჯემალ სეფიაშვილის... სიმღერები, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის ლექსები, ნაწყვეტები მარო მაყაშვილის, გენერალ მაზნიაშვილის, მერაბ კოსტავას დღიურებიდან, მუსიკა ვახტანგ ტაბლიაშვილის, თემურ ფალავანდიშვილის, გიორგი შენგელაიას კინოფილმებიდან და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ამ ყველაფერს „მედია-კავშირ ობიექტივის“ ხელმძღვანელი ქალბატონი **ირმა ინაშვილი** უკეთებს მცირე კომენტარს...

როგორც ვთქვი, ეს ტელეარხი ახლა შლის ფრთებს, ძალზე სერიოზულ, პრობლემებით დამუხტულ გადაცემებს გვთავაზობს, რომელთაც, პირდაპირ, სურნელებას აფრქვევს რუბრიკა: „ქართული კლასიკა უკვდავია“.

თქვენ ნიჭი მითხარით, თორემ რას არ მოიგონებს კაცი...

ვილენ მარდალეიშვილი

◎ საგულისყურო

დღესასწაულები

საადღესასწაულო დღეების რაოდენობა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატში სხვადასხვაა, მაგრამ ყველასთვის საერთო 10 დღესასწაულია. ესენია:

● **ახალი წელი.** ამერიკელებს უყვართ მისი აღნიშვნა არა სახლში, არამედ თეატრებში, კლუბებსა და რესტორნებში. 1 იანვარს ეწყობა საზეიმო აღლუმები. მათგან ყველაზე მხიარული და მრავალრიცხოვანია – ნიუ-იორკში თაიმზ-სკვერზე.

● **მარტინ ლუთერ კინგის დღე.** იანვრის ყოველ მესამე ორშაბათს მთელი ამერიკა იხსენებს სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებისთვის შავკანიან მებრძოლს.

● **ვაშინგტონის დღე – თებერვლის მესამე ორშაბათი.** ეძღვნება ჯორჯ ვაშინგტონისა და აბრაამ ლინკოლნის ხსოვნას, რომლებიც ქვეყანას ედგნენ სათავეში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სამოქალაქო ომის დროს.

● **მოხსენიების დღე – მაისის ბოლო ორშაბათი.** იმ ამერიკელთა ხსოვნის დღესასწაული, ვინც თავი გასწირა სამხედრო სამსახურის დროს.

● **დამოუკიდებლობის დღე.** 1776 წელს მიღებული იქნა დეკლარაცია ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის შესახებ.

● **შრომის დღე – სექტემბრის პირველი ორშაბათი.** ეს დღესასწაული პირველად აღნიშნეს ნიუ-იორკში 1882 წლის 5 სექტემბერს.

● **კოლუმბის დღე – ოქტომბრის მეორე ორშაბათი.** ამერიკის კონტინენტზე კოლუმბის გადასვლის აღსანიშნავად.

● **ვეტერანების დღე, 11 ნოემბერი, ძველადაში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი დღესასწაული.** გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად პირველ მსოფლიო ომში.

● **მადლიერების დღე – ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათი.** დღესასწაულობენ იმ გადარჩენილი კოლონისტების ხსოვნას, რომლებიც XVII საუკუნეში გადასხდნენ ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ დღეს ამერიკელთა მაგიდებზეა ისეთი კერძები, როგორებიცაა ინდაური, გოგრის პეროგი, სიმინდი – ის, რაც კოლონისტების მაგიდაზე იყო შორეულ XVII საუკუნეში.

● **შობა – 25 დეკემბერი.**

სანთელი

ლევან ჩიქვანაიას მონატრება

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ საირმის გორაზე თქვენივე ინიციატივით დაარსებულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა დიდი მხარდაჭერით შექმნილ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში დღევანდელი პედაგოგიური კოლექტივის უმრავლესობა ახალგაზრდა მასწავლებლებად მოვედით და თქვენივე ხელმძღვანელობით ნამდვილად დიდი სკოლა გავიარეთ.

ჩვენო დიდო მასწავლებელო, ჩვენო პირველო დირექტორო, თქვენივე დარიგებებით, რაც შევისისხლხორცეთ, დღესაც ვსულდგმულობთ და ვაგრძელებთ მუშაობას. დღესაც ვუსვამთ ჩვენს თავს კითხვას – მოეწონებოდა თუ არა ეს ბატონ ლევანს? ნეტავ როგორ მოიქცეოდა ბატონი ლევანი? თქვენი ხედვის გათვალისწინებით ვცდილობთ შევხედოთ სკოლის დღევანდელ ცხოვრებას, ბავშვებთან, ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობას.

რამდენი ახალგაზრდა მასწავლებელი დაგიყენებიათ ფეხზე, რამდენ მათგანს გაუკვალეთ გზა დიდი მომავლისკენ. რამდენი მათგანისთვის – მოსწავლისა და მასწავლებლისთვის იქეცით მისაბაძ მაგალითად. რამდენი მშობელი გყავდათ მადლიერი, რომელთა შვილებსაც ფრენა ასწავლეთ.

თქვენს დამსახურებად მიგვაჩნია ისიც, რომ ჩვენს სკოლაში აღზრდილ ბევრ ახალგაზრდა მშობელს, ბებიასა თუ ბაბუას ისევ „ლევან ჩიქვანაიას სკოლაში“ მოჰყავთ თავისი პირმშოები თუ შვილიშვილები.

ჩვენ ვამაყობდით და ვამაყობთ, რომ „ჩიქვანაიას სკოლაში“ ვმუშაობდით და ვმუშაობთ.

თქვენი დაუღალავი ექსპერიმენტებით, ახლის ძიებით გაითქვეს სახელი თქვენმა აღზრდილმა მასწავლებლებმა. დღეს, როცა ჩვენთან აღარა ხართ, გიხსენებთ მხოლოდ უდიდესი მადლიერების გრძნობით და დღეს, როდესაც წახვედით ჩვენგან, წაიღეთ სითბო, სიკეთე და სიყვარული, დიდი მოწიწებით, პატივისცემით, რასაც თქვენს მიმართ ვგრძნობთ. გიხსენებთ კიდევ უფრო მოჭარბებულად, უფრო გაძლიერებით. ისევ ჩვენთან გვეგულებით, რასაც მონატრების გრძნობაც ემატება... დიახ, გვენატრებით, ბატონო ლევან! ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო!

№1 ექსპერიმენტული საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი

ბადრი ბეგალიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია თანაგრძნობას უცხადებს ამავე აკადემიის აკადემიკოსს თამაზ დანელიას, მისი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს მეუღლის

მერი მაყაშვილი-დანელიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ თამაზ დანელიას მეუღლის, დიდებული ქალბატონის

მერი მაყაშვილი-დანელიას

გარდაცვალების გამო.

1954 წლის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები პეტრე დუნდუა, შოთა ჯაოშვილი, ელგუჯა ძიძიგური, გიორგი გიორგობიანი, ნოდარ ქვარაია, ნოდარ მიხაილოვი, ტრისტან ჩერქეზიშვილი, მარლენ ჭაბაშვილი, გივი შალიბაშვილი, შუქრი მიქავა, ამბროსი ჩხვიმიანი, ბაგრატ მეტრეველი, გივი კუხიანიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სატყეო მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სააქციო საზოგადოება „კალასის“ პრეზიდენტი, ღირსეული მამულიშვილი, მეგობარი და კოლეგა

გოგი თორაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 19 III, 14 სთ. მირცხულავას ქ. №14 (დიდუბე).

ბებია თინა შელია-მაზმანიშვილი, დეიდები მარიზა, რუსუდან მაზმანიშვილები, დეიდაშვილები დავით, გიორგი, მონიკა, ბაია ხეჩინაშვილები, დუდანა, გიორგი მაზმანიშვილები, მარიკა კალანდაძე, ბიძა ვალიმირ კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბაადურ ბასარია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

პოვნა ძელისა ჭეშმარიტისა და სამსჭვალეთა

19 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჭეშმარიტი ძელისა და სამსჭვალეთა პოვნას.

...ჯვრის ქართულ მონასტერში, პალესტინაში არსებობს ასეთი თქმულება: წმიდა აბრაამმა თავის ძმისწულს სასჯელი დაუწერა. ჩადენილი ცოდვის გამო მას იერუსალიმთან ახლოს უნდა დაერგო კვიპაროსის, ნაძვისა და კედრის გამხმარი რტოები და მანამდე ერწყა, სანამ გამწვანდებოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ, მართლაც გაიხარეს და ერთი ხის ტანად აღმოცენდნენ.

მეფე სოლომონმა ბრძანა, რომ ამ ხის მორი იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაზე გამოეყენებინათ, მაგრამ მუშების გულმავიწყობით, სიონის კედლებთან დარჩა და მოგვიანებით ბოგირად გადეს ნაკადულზე, რომელიც ტაძარს ჩამოუდიოდა.

...ქრისტეს სიკვდილით დასჯის დროს ეს მორი გამოიყენეს ჯვრის ძელად და მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ გოლგოთაზე, მიწაში ჩაფლეს. მეფე კონსტანტინეს რამდენჯერმე გამოეცხადა ჯვრის ზეციური ხატი და თავგამოდებით ცდილობდა, აღმოეჩინა ძელი ჯვრისა.

326 წელს კონსტანტინეს დედამ – წმინდა ელენემ იპოვა გოლგოთის ჯვარი.

VII საუკუნემდე გოლგოთის ჯვარი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ინახებოდა, მერე კი სპარსელებმა გაიტაცეს, მაგრამ იმპერატორმა ირაკლიმ მალევე დააბრუნა.

წმინდა ჯვარი ასობით ნაწილადაა დაყოფილი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ინახება, მაგრამ უმეტესი ნაწილი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნის.

IV საუკუნეში კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზეც იესოს ფეხები ედო. ეს

წმინდათაწმინდა განძი მთის მიუვალ ციხე-სიმაგრეში ინახებოდა, მაგრამ მეფის – გიორგი მეთორმეტის დროს უგზო-უკვლოდ გაქრა და დღემდე არავინ იცის, რა ბედი ეწია.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი ჰრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვახსენებთან

სააკაშვილის რეჟიმი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა

ამას გაზეთის კორესპონდენტს უყვება თბილისის კოლორიტის მიხეილ ჯანაშვილის, იგივე „ჩაშკას“ შვილი ხათუნა ჯანაშვილი, რომელმაც ციხეში გადაიტანა ფსიქოლოგიური ზეწოლისა და წამების მთელი სიმძიმე.

„პატიმრებს სამედიცინო ესქპერიმენტებისთვის იყენებდნენ, სრულიად ჯანმრთელ ორგანოებს აჭრიდნენ... ვაპირებ, უახლოეს დღეებში ისრაელის საელჩოში მივიდე და საქართველოს მოქალაქეობა დავთმო. ისინი მაიძულებენ, ჩემი ქვეყნიდან ემიგრაციაში წასვლას“.

„ასავალ-დასავალი“

ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი დავით მაღრაძე იძნება?

„ქრონიკის“ ჟურნალისტის, დაახლოებით, ასეთ კითხვას, ივანიშვილის პარამეტრებით, ალბათ, თქვენ გამოდგებით საქართველოს პრეზიდენტადო, პოეტი დავით მაღრაძე უპასუხებს: „ეს ინტერვიუ, მგონი, სპეციალურად ამ კითხვისთვის ჩაწერეთ. რა გინდათ, რა დაგიშავეთ?! იცით რა... მე მაშინ ვერთვები პოლიტიკაში, როცა სახლში ყაჩაღივით მივარდება პოლიტიკა. პოლიტიკაში ჩემი ყოფნა გამოწვეული იყო თავდაცვითი ინსტიქტით, მით უფრო, პრეზიდენტობაზე, საერთოდ, არასდროს მიფიქრია. პრეზიდენტობა კი არა, რიგითი პოლიტიკოსობაც კი არ ტრიალებს ჩემს თვალსაწიერში.

„ქრონიკა“

ინტერვიუ სოსო ჯაჭვლიანთან

„თახსირმა გიგი უგულავამ თქვა, რომ „მარშრუტკებთან“ რაღაც წილები მქონია. სასაცილოა...: ტენდერი ვინ ჩაატარა, ქალაქის მერიამ, არა? მერე ვის გაამარჯვებინებდა, იმას ნამდვილად არა, ვინც მათ არ უნდოდათ... ეგ თაღლითები, ვითომ ქურდებს ებრძოდნენ, სინამდვილეში, თავად აკონტროლებდნენ ყველაფერს... „მარშრუტკების“ ამბავშიც ერთმანეთის „ჩაშკა-ლოშკები“ არიან. მე კი იქ იმიტომ მივედი, თვითონ დამიძახეს მძღოლებმა. გლდანის რაიონშია მათი ავტოფარეხი და მე ხომ გლდანის დეპუტატი ვარ. როგორც დეპუტატს, მთხოვეს მედიატორობა“.

სოსო ჯაჭვლიანი კატეგორიულად უარყოფს ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს „ქართული ოცნების“ დატოვებას აპირებს.

„კვირის პალიტრა“

„მოსკოვი სააკაშვილის პირად საძმეებს მალავს“

გასულ კვირაში საქართველოში ნამდვილი ანტირუსული ისტერიკა იყო. მოსკოვში „ერისიონის“ გასტროლების გამო დიდი ამბავი ატყდა. პარტია „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის თქმით, ის ხალხი, რომელიც დღეს რუს ერს ისტერიულად ლანძღავს, სინამდვილეში თავად აკეთებს რუსულ საქმეს. რას ნიშნავს სინამდვილეში რუსული საქმის კეთება, რა უნდოდა პეტერბურგის ცენტრში სააკაშვილის ფოტოს, რატომ არ საუბრობენ მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის წარსულზე და რატომ არ არის ვიღაცეებისთვის ივანიშვილი მოსაწონი... საუბრობს თემურ შაშიაშვილი.

„ახალი თაობა“

პრეზიდენტის „შურისძიება“

მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ თამარ ბერუჩაშვილის დანიშვნას ხელს არ აწერს. გარდა ამისა, სააკაშვილი ამ დრომდე არც 9 ქვეყანაში პარლამენტის მიერ დამტკიცებული ელჩების დანიშვნაზე დათახმებულა და არც კიდევ 10 ქვეყანაში ელჩობის კანდიდატთა სია გადაუგზავნია პარლამენტარებისთვის. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.

„რეზონანსი“

◎ ჩვენი კარაბადინი

გაციებას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან მივყავართ

მძღოლის ცხვირის ცემინება ხშირად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზი ხდება, ამტკიცებენ ბრიტანელი სპეციალისტები. მათ დაიანგარიშეს, რომ მარტო დიდ ბრიტანეთში ყოველ კვირაში (!) 2,5 ათასი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ხდება გაციებული მძღოლების გამო. ისინი, როდესაც აცემინებენ, უნებლიეთ ხუჭავენ თვალებს და ამ დროს მათი მხედველობის არეს კონტროლიდან ქრება საგზაო მონაკვეთის 80-დან 150 მეტრი, მოძრაობის სიჩქარის შესაბამისად. ასეთ ვითარებაში ავარიის გაჩენის რისკი რამდენჯერმე იზრდება.

დიდი ბრიტანეთის ცენტრალური საგზაო პოლიცია დაბეჯითებით მოუწოდებს ავტომობილისტებს, ნუ მიუსხდებიან საჭეს, თუ მათ გაციებისა და გრიპის სიმპტომები გაუჩნდათ.

სქესობრივი ნიშნით

იმაში, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად ცივდებიან, დამნაშავეა ჰორმონული ფონი, მიაჩნიათ ბრიტანელ მედიკოსებს. ჯერ კიდევ 1998 წელს მათ გამოარკვიეს: ქალების სხეულის ტემპერატურა 0,4 გრადუსით მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა, მაგრამ ამ დროს მათი ხელები და ფეხები 2,8 გრადუსით უფრო ცივია. ამ თეორიის თანახმად, ეს ბუნებრივი მექანიზმია: ქალის ორგანიზმი გაწწყობილია ორსულობის პერიოდში ბავშვის სიცივისგან დაცვისათვის.

მეცნიერები განმარტავენ: ქალების სხეულის ტემპერატურა ხშირად მერყეობს – დონის შესაბამისად ესტროგენისა, რომელიც კონტროლს უწევს პერიფერიულ სისხლძარღვებს, რაც მეტი ჰორმონია სისხლში, მით მეტია ტემპერატურისადმი სისხლძარღვთა მგრძნობელობა. სიცივეში რეცეპტორები უბრძანებენ კაპილარებს შეიკუმშონ და სისხლი მიაწოდონ სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან ორგანოებს. ქალებში სისხლძარღვების შევიწროება შეიძლება მოხდეს ტემპერატურის უმნიშვნელო დაწევის დროსაც კი.

ქალბატონებს ასევე 10 პროცენტით მეტი აქვთ ცხიმოვანი ნაფენობა. ცხიმოვანი ქსოვილი იცავს შინაგან ორგანოებს დაზიანებისგან, მაგრამ ხელს უშლის სითბოს მივიდეს კანის ზედაპირამდე, ამიტომ მსუქან ადამიანებს კანის ტემპერატურა ყოველთვის დაქვეითებული აქვთ.

როგორ შეიძლება, თან ვჭამოთ და თან ვხდებოდეთ?

ამისთვის მეცნიერებმა კორნეულის უნივერსიტეტიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) 5 მარტივი რჩევა მოგვცეს. ექსპერიმენტის დროს უმარტივესი ცვლილების შედეგად მოხალისეებმა ერთ თვეში საშუალოდ 900 გრამი დაიკლეს. 3 თვეში რჩევები მათ დაეხმარა გამხდარიყვნენ თავდაპირველი წონის 1 პროცენტით (ე.ი. 7-9 კილოგრამით). მთავარი მოთხოვნა – ესაა შევასრულოთ რეკომენდაციები თვეში სულ ცოტა 25 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ იქნება.

1. ნუ მიიტანთ სახლში „არაჯანსაღ“ პროდუქტებს – ცხიმიან, ტკბილ, დიდი კონსერვანტების შემცველებს. გადადით „სწორ“ გემრიელ საკვებზე, როგორიცაა ჩირი, ხოლო თუ იგი ძვირი ღირს, უბრალოდ იყიდეთ ნაკლები ოდენობით.

2. ნურასოდეს მიირთმევთ პირდაპირ შეფუთვიდან და ფეხზე მდგომელები, პორცია ყოველთვის დაალაგეთ თეფშზე და მიუჯექით მაგიდას. ასე უფრო ცოტას შეჭამთ.

3. საუზმეზე მიირთვით ცხელი კერძი (ფაფა, ომლეტი და ა.შ.), სასურველია ერთი საათის შემდეგ ადგომიდან.

4. ნუ დაელოდებით სადილს ან ვახშამს, წაიხემსეთ ყოველი 3-4 საათის შემდეგ ბოსტნეულით, ხილით, ყველის ნაჭრით, იოგურტით.

5. მიირთვით ჩანგლითა და დანით, სანამ ღეჭავთ – დააწყვეთ ისინი თეფშზე – ეს საშუალებას გვაძლევს ვჭამოთ უფრო ცოტა.

გამოკითხვა

რამდენად ხშირად ნერვიულობთ სამუშაოზე?

44,5 პროცენტი – ხანდახან.

33,1 პროცენტი – მუდმივად ვნერვიულობ.

16,7 პროცენტი – შემიძლია შევინარჩუნო სიმშვიდე.

3,4 პროცენტი – არასოდეს: სამუშაო არ ღირს იმად, რომ მას შენი ნერვული უჯრედები მოახმარო.

2,3 პროცენტი – არასოდეს: იდეალური სამუშაო მაქვს.

სულ გამოკითხვაში 2192 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

◎ ანეკდოტები

ველოსიპედისტი ქვეითთა გადასასვლელზე მთელი სისწრაფით დაეჯახა ტიპს. ორივე წაიქცა.

– ნამდვილად გაგიმართლა, ძმაო! – ეუბნება ველოსიპედისტი.

– რა გამიმართლა, კაცო! კინაღამ დამასახიჩრე! ყველაფერი მტკივა.

– გეუბნები, გაგიმართლა-მეთქი. ამას წინათ მართვის მოწმობა ჩამომართვეს, თორემ მანამდე მისაბმელიან „კამაზს“ ვატარებდი.

* * *

– ჩემი პორტრეტი მართლა კარგი იქნება?

– რა თქმა უნდა, თქვენს თავს ვერც იცნობთ.

* * *

უძმეებს მერე ყველაზე ძნელი პირველი ხუთი დღეა.

* * *

– **ივან, რომელ წელს დაიბადე?**

– მე ღორი ვარ.

– ეს უშენოდაც ვიცი. გეკითხები, რომელ წელს დაიბადე-მეთქი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com